# საერთო გაზეთი

№35 (540) • 9 ოქტომბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

## თუ სწორ გზას ავირჩევთ, საქართველო ნამდვილად შეიძლება გახდეს რეგიონის შვეიცარია



**გიორგი ქობულია:**

## სულ არ მეშინია ამის გამო ვინმე პრორუსულობას თუ დამაბრალებს



## აქეთ გზა მორწმუნე მიშასი! იქით გზა ურწმუნო ბოკერიასი! აირჩიე, ქართველო ხალხო!





## გოჩა გვასალია: დააპორჭყნა განგებამ ივერია და სწორია უფლის მსჯავრი

## საქართველოს ეკონომიკა ჰგავს იმ პატარა ნავს, რომელიც ერთდროულად რამდენიმე უზარმაზარ ხომალდზეა მიბმული...



## მამაოთა ამაოება

## ვინ დაიცავს ირაკლი როგავას და მის ოჯახს მოძალადეებისგან?

# საქართველო – ცივილიზაციათა გზაჯვარედინი

## თუ სწორ სტრატეგიას ავირჩევთ, საქართველო ნამდვილად შეიძლება გახდეს რეგიონის შვეიცარია



*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ:*

**— ბატონო დიმიტრი, რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობა ლაგდება. ლავროვისა და ზალკალიანის შეხვედრის შემდეგ რამდენად გაჩნდა იმედი რუსეთ-საქართველოდ ურთიერთობაშიც ახალი პერსპექტივები გაჩნდეს?**

— მოგახსენებთ: 2019 წლის გენერალური ასამბლეის სხდომა ორი რამით არის დასამახსოვრებელი — ერთი მხრივ, ეს არის ტრამპის ისტორიული გამოსვლა, ერთა თვითმყობადობისა და იდენტიფიკაციისკენ გადასადგმელ პოლიტიკურ ამოცანებთან დაკავშირებით და მეორე მხრივ, ლავროვისა და ზალკალიანის შეხვედრა, რის თაობაზეც, წინასწარ, მოლოდინები არ იყო, მაგრამ რეალობას ვერავინ გაექცევა — ეს აშკარა პოზიტივია. პირველ რიგში, გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, რომ ყინული დაიძრა. როცა საკითხი კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის პერსპექტივას ეხება, მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს. ეს, მხოლოდ დრიოს საკითხი იყო — მისცემდნენ თუ არა ჩვენს ხელისუფალს ათწლეულების განმავლობაში გაღვივებული კონფლიქტის პირდაპირი მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტის შესაძლებლობას. პირველ მერცხალს აუცილებლად მოჰყვება ძალიან ფუნდამენტალური და მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების განხილვა. ამასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უკვე არაერთი მინიშნება კეთდება. აღნიშნული შეხვედრა უკვე განსაზღვრავს პერსპექტივას და აბსოლუტურად განსხვავებულ დღის წესრიგს. ჩვენი ურთიერთობა აღარ იქნება მხოლოდ აბაშიძე-კარასინის ან ჟენევის ფორმატს დაქვემდებარებული, არამედ დაიწყო უმაღლესი შეხვედრების მომზადების წინა ეტაპი. თქვენ, დასვით კითხვა: რუსეთ-უკრაინას შორის სიტუაცია ლაგდება და რამდენად აისახება ეს საქართველოზეცო. დიახ, პერსპექტივის განცდას აძლიერებს შემდეგი: უკრაინაში ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, რომ გერმანიის პრეზიდენტის შტაინმაიერის კონცეფციას უკრაინაში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით, ყველასგან მოულოდნელად, უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ მხარი დაუჭირა. მინდა გითხრათ, რომ რუსეთის პრეზიდენტის უმთავრესი მოთხოვნა, უკრაინული მხარის მიმართ კონფლიქტის დეესკალაციის საკითხებთან დაკავშირებით, სწორედ შტაინმაიერის ფორმულის გათვალისწინებას გულისხმობდა. უკრაინაში პირველად ჩნდება შესაძლებლობა, რომ ომითა და მოვლენათა ესკალაციის შედეგად დამდგარი სავალალო შედეგი სამშვიდობო პერსპექტივით შეიცვალოს, რაც დონბასის განსაკუთრებული სტატუსის ქვეშ — ავტონომიის სახით მოქცევას ითვალისწინებს. ეს გარანტიაა იმისა, რომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა, ამ მიმართულებით, დაცული იქნება. ვგულისხმობ, აღმოსავლეთ მიმართულებას. არ მინდა უკრაინა საქართველოს ყველა ასპექტში შევადარო. იქ, ყირიმის პრობლემაა, რაზეც მსოფლიო თანამეგობრობა, პრაქტიკულად, რუსეთის პოზიციას იზიარებს. კერძოდ, ეს არის რუსეთის მიერ სისხლით მოპოვებული ტერიტორიული ერთეული, რომელიც 1954 წელს საბჭოთა კავშირის პერიოდში ხრუშჩოვმა უკრაინას გადასცა. დღეს საუბარი იმაზე — არის თუ არა ყირიმი რუსეთის ორგანული ნაწილი, მსოფლიო თანამეგობრობაში აღარც მიმდინარეობს. თუკი დონბასისა და ლუგანსკის მიმართულებით შტაინმაიერის კონცეფცია ამოქმედდება, ეს ნიშნავს შემდეგს: უკრაინასა და რუსეთს შორის ფუნდამენტალურ საკითხებთან დაკავშირებით დაწყებული მოლაპარაკება მალე იმით დამთავრდება, რომ ევროპას საფუძველი აღარ დარჩება რუსეთს სანქციები დააკისროს. ეს, გლობალურად, გამოასწორებს პოლიტიკურ პროცესს ევროპასა და რუსეთს შორის, თავის მხრივ, აშშ-სა და რუსეთს შორისაც. ანუ, პოლიტიკური თვალსაზრისით რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებში ტექტონიკური ძვრები იწყება. ამის პარალელურად, ჩვენთანაც, ჩნდება იმედი, რომ საქართველოს დეოკუპაციის რეალური კონცეფცია მაგიდაზე შეიძლება ძალიან მალე დაიდოს. ეს, ქართველებისთვის, რომელ ბანაკსაც არ უნდა მივეკუთვნებოდეთ, არის წითელი ხაზები. ჩვენთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, ნებისმიერ სხვა კონტექსტში, არ განიხილება.





**— თუმცა, რასმუსენმა ნატოში აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის გარეშე გაწევრიანება შემოგვთავაზა.**

— დიახ, ამ შემოთავაზებით, საქართველოს ნატოში შესვლა ნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყანა თანახმა იყო რუსეთის მიერ ცალმხრივად აღიარებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა ეცნო და ეს ორი ტერიტორიული ორგანო — საქართველოს ორგანული ნაწილი რუსეთის შემადგენლობაში გადასულიყო. ამიტომ, ეს ძალიან მზაკვრული ხაფანგი გახლდათ. ამ ფორმით ნატოში შესვლაზე ხელისმოწერა წარმოუდგენელი იყო, რასაც ამ ორგანიზაციაშიც მალევე მიხვდნენ. გახსოვთ, რომ რასმუსენის შეთავაზებიდან მალევე მათ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხეს და თქვეს: ნატოში საქართველოს ინტეგრაცია საერთოდ არ განიხილებაო. იგივე დაადასტურა ნატოს გენარალური მდივნის მოადგილემაც. მან პრეზიდენტთან შეხვედრის დროს განაცხადა: ამ ეტაპზე ნატოს რიგებში საქართველოს ინტეგრაცია არ განიხილებაო. ტერიტორიების დაბრუნების გასაღები რუსეთშია. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც რუსეთისთვის ზურგის შექცევის მომხრეა, საქართველოს ორგანული ინტერესების მტერია. ესენი გახლავთ სწორედ იმ გრანტების მიღების იმედად მყოფი პოლიტიკოსები, რომლებიც დაფინანსებას სწორედ რუსეთისთვის ზურგის შექცევის პოლიტიკაში იღებს. მათ მიერ კულტივირებულ იდეებს არ უნდა ვუსმინოთ. ეს აბსურდია. ვიმეორებ, ყველა მშვენივრად ხვდება, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები მოსკოვშია. ამის შესახებ ჯერ კიდევ 20 წლის წინ შევარდნაძე საუბრობდა. თუმცა, სხვა საკითხია, იგი, რა პოლიტიკას მისდევდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ეს შეუქცევადი პროცესია, რასაც პირველი იმპულსი ნიუ-იორკში გაეროს გენ-ასამბლეაზე მიენიჭა, სადაც შესაძლებელი გახდა 2008 წლის მერე გამწყდარი ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის ისევ შემდგარიყო. ეს აშკარად პოზიტივია. ვფიქრობ, ძალიან მალე ფრენები ჩვეულებრივ რეჟიმში აღდგება, რასაც ქვეყნისთვის არაჩვეულებრივი ეკონომიკური ეფექტი მოჰქონდა. ლარის გაუფასურება, ეკონომიკური სტაგნაცია და ა.შ. სწორედ ასეთი მოქმედებით ფრენების გაუქმებით არის განპირობებული, რისი შემოქმედნიც, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ოპოზიცია და მედია-საშუალებები არიან. ისინი, რეალურად, ჩვეულებრივი მედია-საშუალებები კი არა, არამედ მტრულად განწყობილი ბანაკის ოპერატიულ-ტექნიკური ქვედანაყოფებია, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რათა საქართველოსა და რუსეთს შორის დეზინტეგრაციული პროცესები გაღრმავდეს და დიდი უფსკრული წარმოიშვას. ისინი მზად არიან ყველა ღონე იხმარონ, რათა საქართველო ზესახელმწიფოთა შორის დაპირისპირების პოლიგონად გადაიქცეს, რაც მათ სრულებით არ ადარდებთ. მათი ინტერესია საინჟინრო ნაგებობები, ნატოს ბაზების განთავსება რაც შეიძლება ახლოს რუსეთის საზღვართან და შესაბამისად, შემდგომი გაცხოველებული გეო-პოლიტიკური ვაჭრობები ზესახელმწიფოთა კონტექსტში. ეს მათთვის, გაზრდილი გრანტების სახით, დამატებითი შემოსავლების წყაროა. **ამ ერთი მუჭა დესტრუქციული ელემენტების, ხროვის არსებობა, პოლიტიკურ დონეზე, უნდა დასრულდეს. მათ თავისი სახელი უნდა ეწოდოთ. ეს სახელი გახლავთ სწორედ საქართველოს მტრობა. სანამ „ნაციონალები“, ევრონაცები“ და მათი სატელიტი მედია-საშუალებები ბოლომდე მხილებულნი არ იქნებიან, მანამდე ჩვენ, მუდმივად, გვექნება რყევები როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ-სოციალურ საკითხებში.** ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა მცირერიცხვოვანი ერით. ქვეყნიდან გახიზნული ადამიანების რიცხვს თუ გავითვალისწინებთ, სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის რიგები კიდევ უფრო მცირდება. ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაა. არ გვაქვს უფლება დრო გავწელოთ. ჩვენ, ვხედავთ, რამდენადაც გაიწელა დრო ცხინვალთან მიმართებით, კონფლიქტში მით უფრო ღრმად ჩავები თ. იგივე მოხდა აფხაზეთთან მიმართებაშიც — სწორი გადაწყვეტილებები ვერ მივიღეთ, დასკვნები ვერ გამოვიტანეთ. ჩვენ, არძინბასა და შევარდნაძეს, ასევე, სააკაშვილსა და შამბას შორის დაწყებული ურთიერთობების დაგვირგვინებაზე უარი ვთქვით და პროცესები გავწელეთ იმიტომ, რომ ჩვენი ე.წ. დასავლელი პარტნიორე-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.







ბის უშუალო შთაგონებით საერთოდ ვერ მივიღეთ გადაწყვეტილება და პროცესები ჩავშალეთ. დღესაც ზუსტად ის დაგვემართა, რაც 1918–21 წლებში. ისტორია მეორდება. მაშინ, დიდი ბრიტანეთის ჩარევის შედეგად, ფაქტობრივად, ჩვენი სამხრეთი ტერიტორიები დავკარგეთ, რადგან ვერ მივიღეთ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით თუ რა როლს ითამაშებდნენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები ამ ვითარებაში და საბოლოოდ, მათგან მიტოვებულნი აღმოვჩნდით. ახლაც, ასეა. დასავლეთს თავისი პოლიტიკური მერკანტილიზმი გააჩნია. მისთვის საქართველო როგორც გაცვლითი მონეტა ისე განიხილება. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ყველაზე უფრო სასურველი სავაჭრო პარტნიორია, ვინაიდან იგი ხმელეთის ერთ მეექვსედზეა გადაჭიმული და ისეთ ბუნებრივ რესურსებს ფლობს, რომელიც მთელი მსოფლიოს ეკონომიკას ძალიან სჭირდება. აქედან გამომდინარე, რუსეთი განიხილება ამ ბუნებრივი რესურსების ამოუწურავი მარაგით სარგებლობის სავაჭრო პოლიტიკურ შესაძლებლობად, ამ შემთხვევაში, დასავლეთისთვის, რომელიც რა თქმა უნდა, საქართველოს, წინ, არასდროს დააყენებენ და ეს ილუზია არც უნდა შევიქმნათ. კეთილი ვინებოთ და ილიასეული სლოგანი — ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდენისო, კარგად გავიაზროთ და ქვეყნისთვის სასიცოცხლო ნაბიჯები ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გადავდგათ. ეს ეროვნული ინტერესი კი გვკარნახობს: კი ბატონო, ჩაერთონ ე.წ. დასავლელი პარტნიორები ამ მოლაპარაკებათა პროცესში თუკი ეს, საერთაშორისო გამჭირვალობის თვალსაზრისით, რეზონანსული გახდება. ოღონდ, მთავარი პირობა ასეთია: ქართული და რუსული მხარეები, პირდაპირი მოლაპარაკების გზით, ვალდებულნი არიან კავკასიის რეგიონთან მიმართებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღონ. მშვიდობიანი კავკასია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი პლაცდარმი უნდა გახდეს. ეს ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე არსებული გეოგრაფიული ტერმინია. ეს არც ევროპაა, არც აზია, ეს კავკასიაა. ჩვენ, უნდა ვამაყობდეთ კავკასიელობით და ყველანაირად ვეცადოთ, რომ მსოფლიო ჰეგემონები ურთიერთსაჭიდაო ხალიჩად და დაპირისპირების პოლიგონად კი არ განიხილავდნენ ამ ტერიტორიას, არამედ სწორედ ეკონომიკური ოაზისის შექმნის წინაპირობად. **თუ სწორ სტრატეგიას ავირჩევთ, საქართველო ნამდვილად შეიძლება გახდეს რეგიონის შვეიცარია.** აბსოლუტურად, ყველა წინაპირობა გვაქვს იმისთვის, რომ ვიყოთ მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი სახელმწიფო, თან ისე, რომ ამ სიმდიდრის დაგროვების პროცესში სამეზობლო პოლიტიკაში ყველანი კმაყოფილნი იყვნენ: ეს იქნება რუსეთი, თურქეთი, ირანი თუ ა.შ. ეს დომინაცია უნდა დავიბრუნოთ, ისტორიული მისია აღვიდგინოთ. დიახ, ჩვენი ისტორიული მისიაა ის, რომ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე გეო-პოლიტიკურ ცენტრებს შორის მყარი ხიდი გავხდეთ. დიახ, ჩვენ უნდა გავხდეთ ხიდი ევრაზიულ კავშირს, ევროკავშირსა და ჩრდილო-ატლანტიკურ კავშირს შორის არსებული ურთიერთობის მყარი, მშვიდობიანი ხიდი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამ პოლიტიკური ამოცანის დასახვას, სხვა ალტერნატივა არ აქვს. საჭიროა სწრაფი, ოპერატიული, უშეცდომო მოქმედებები. ამის განმსაზღვრელი 2020 წლის არჩევნები და შედეგად მიღებული კოალიციური მთავრობა იქნება. რუსულ-ქართულ ურთიერთობებში, კავკასიის კონტექსტში, ნდობამ უნდა დაისადგუროს. ესაა უმთავრესი ამოცანა.



**— ბატონო დიმიტრი, თქვენ, რამდენჯერმე ახსენეთ ტერმინი — ე.წ. დასავლელი პარტნიორები. ადრე, ისინი რუსეთთან პირისპირ დალაპარაკების უფლებას არ გვაძლევდნენ. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა?**

— დიახ, თქვენ, ძალიან სწორად შენიშნეთ: ამჯერად, ამ შეხვედრამ მათგან მოწონება დაიმსახურა. ჩვენი დასავლელი პარტნიორი ღიად მოგვიწოდებდა: დიახ, ეს არის კარგი პრეცედენტი, ურთიერთობა უნდა გაღრმავდეს და შედეგზე იყოს ორიენტირებულიო. პირველი შემთხვევაა, როდესაც ღიად ასეთ დამოკიდებულებას გამოხატავენ. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის შიდა მტრები იმას კი არ ამბობენ: ეს, ცალსახად, პოზიტიური ნაბიჯია, არამედ როგორ გაბედა ზალკანიანმა ლავროვთან შეხვედრა, ეს ხომ ქვეყნის ღალატიაო. მთავარი შეხვედრა იყო. ეს საკითხი უკრაინაში დადებითად წყდება. მთავარი პირობა უკვე შეიქმნა — ნორმატიული ოთხეული მზად არის შეხვედრათა დღის წესრიგი ჩამოაყალიბოს. ანალოგიური ფორმატი, შესაძლოა, საქართველოსთან მიმართებაშიც შეიქმნას. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს შტაინმაიერის ფორმულა საქართველოსაც შესთავაზეს, არ გამოვრიცხავ: რომელიმე ევროპულმა ქვეყანამ, თუნდაც, გერმანიამ შუამავლის როლი იტვირთოს და შესაბამისად, დაახლოებითი ფორმატი ჩვენც შემოგვთავაზონ და ნეიტრალურ ტერიტორიაზე ისტორიული შეხვედრები, მოლაპარაკებები დაიწყოს. ჩვენ, 30 წელია მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ. ეს უნდა დასრულდეს და პირდაპირ ვთქვათ: ჩვენთვის, არც ნატო, არც ოდეკაბე, არც სხვა სამხედრო პოლიტიკური ალიანსი არ შეიძლება მიზანი იყოს. ნებისმიერი სამხედრო ალიანსი შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ სანუკვარი პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზად, რამაც საქართველოსთან მიმართებაში ყოველგვარი აზრი დაკარგა. ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ, რაც უფრო მეტი ნატო შემოდის საქართველოში, მით მეტი



მავთულხლართი გადმოდის პასუხგაუცემლად დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე და პრობლემის მით უფრო ნაკლები მოგვარების შანსი რჩება. ასეა წლების მანძილზე. იმის ნაცვლად, რომ განვაცხადოთ ასეთი უტოპიური გეგმის უპერსპექტივობის შესახებ, დღემდე, სირაქლემას პოზიციას ვირჩევთ.

**— რას იტყვით, ლავროვის განცხადების ინტონაციური ტონი, რით იყო განპირობებული?**

— თაკო, იცით, რაშია საქმე, ლავროვი უზარმაზარი იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრია და მისი მხრიდან, ცინიკური პასაჟები, გასაკვირი არ არის. გამომდინარე იქედან, რომ იგი ძალიან მაღალი დონის დიპლომატია, ბუნებრივია, იმპერიული ზესახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით, მისი რიტორიკა დათმობითი ხასიათის არ იქნება. რაც შეეხება ზალკალიანს, იმედს ვიტოვებ, მას თავისი სამშობლო უყვარს. საუბრები რაც პოლიტიკურ კულუარებში ატყდა, ლავროვის განცხადება სწორედ ამას მოჰყვა პასუხად: ნაკლები ვისაუბრეთ, ვიდრე მან კომენტარი გააკეთაო. ეს ძალიან მყიფე განცხადება მიმართულია სწორედ იმ რეაქციის წინააღმდეგ, რაც ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის გაფერმკრთალების მიზნით გაკეთებულ განცხადებებს მოჰყვა ქართული პოლიტიკური სპექტრიდან — „ნაცებიდან“ და „ევრონაცებიდან“. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ: ეს მოღალატეობრივი აქტია, ასეთი შეხვედრა არ უნდა მომხდარიყოო და ლავროვის პასუხმაც არ დააყოვნა. ერთ-ერთს მაინც რომ ეთქვა: ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი იყოო, ალბათ, ლავროვის მხრიდან ასეთი განცხადება აღარ გაკეთდებოდა. ასე, რომ მათ გამონათქვამებს, პირველ რიგში, ზიანი საქართველოსთვის მოაქვს. ლავროვმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ შეხვედრის ტექნიკური რეგლამენტაცია კი არ იყო განსახილველი, არამედ თავად აქტი, რომელიც ხანმოკლე იყო, მაგრამ, ფაქტია, შედგა.

**— „ნაცები“ და მისი განშტოებები გაიძახიან: არ დაველაპარაკებით რუსეთს, იგი ოკუპანტიაო და მას საჯდომების ჩვენებით აშინებენ. ერთი ალიაქოთი აქვთ ატეხილი: ხალხის ჩუმად შედგა შეხვედრაო. მათ როდის შეგვატყობინეს, როცა კოდორის ხეობა ჩააბარეს?**

— შეკითხვაში ძალიან სწორი მინიშნებებია. რა თქმა უნდა, დაკარგული კოდორიც მათ ნამუსზეა და დაწყებული სამხედრო ავანტიურები 2004 და 2008 წელს. ეს გახლდათ კონკრეტული დავალებები, რასაც შემდეგი მიმართულება ჰქონდა: მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე რუსეთი კიდევ უფრო მეტი აგრესორის მანტიით წარმდგარიყო და შესაბამისად, საქართველო გამოყენებული იქნა როგორც გაცვლითი მონეტა. ბევრისთვის შეიძლება წარმოუდგენელი იყო როგორ ვაჭრობდა „ნაცმოძრაობა“ საქართველოს ბედით. ახლა, ისინი, ბედავენ და დღესაც პრეტენზია აქვთ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე. ეს არის სწორედ მავნე კოაბიტაციის შედეგი, რაზეც პასუხისმგებლობას „ქართული ოცნება“ ვერ გაექცევა. ჯერ ერთი, ასეთი ტიპის შეხვედრები, როგორიც ლავროვსა და ზალკანიანს შორის შედგა, ხალხისგან დამალულად, ფარულად ვერ ჩაითვლება. ყველას გვახსოვს: ირაკლი ალასანიამ გაეროში დერეფანში გამართა მოლაპარაკება. ასეთი ტიპის შეხვედრებზე, ქვეყნის ლიდერებს შორის, ამა თუ იმ საკითხების მოგვარების ძიება ხდება. ამ შეხვედრაზე მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა.

**— „ნაცმოძრაობა“ ხშირად სპეკულირებს თემით — ხალხს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა არ უნდაო. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია ეს?**

— ახალს არაფერს გამოვიგონებ თუ გეტყვით, რომ 2012 წელს როდესაც ხელისუფლება იცვლებოდა, ხალხის ძირითადი დაკვეთა „ქართული ოცნების“ მიმართ ორი რამ იყო: შიდა პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით — სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენა და საგარეო ვექტორის მიმართულებით — რუსეთთან კონფლიქტური ვითარების ამოწურვა და ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური ფასის განსაზღვრა. დღესაც, სოციოლოგიური კვლევა რომ ჩავატაროთ, ეს ორი საკითხი ისევ დღის წესრიგში იქნება. განსაკუთრებით მწვავე, აქტუალურია საკითხი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისი თ. ეს არის ჩვენი მოქალაქეების არამც თუ სურვილი, არამედ დაკვეთა პოლიტიკურ დონეზე, რის გამოც ხელისუფლებები ირჩევიან. ბოლო დროს, თვით სააკაშვილიც კი მიხვდა, რომ მას ძველებური საუბრები აღარ გამოადგებოდა და აუცილებლად ეროვნულ ინტერესებს მორგებული რიტორიკა უნდა გამოეყენებინა, რაც ქართულ –რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებას და გადატვირთვას გულისხმობს. ანუ, ჩვენი სანუკვარი მიზანი აფხაზეთისა და ცხინვალის უკან დაბრუნების მიღწევაა. დღეს, მთლიანად გაკოტრებულია ის რიტორიკა, რომელიც რუსეთისთვის ზურგის შექცევას გულისხმობს, რასაც ყველა მშვენივრად ხვდება. მით უმეტეს, რომ რუსულ-უკრაინულ თამაშებში ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ შემდგომი საქართველოა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საქართველოს ეკონომიკა ჰგავს იმ პატარა ნავს, რომელიც ერთდროულად რამდენიმე უზარმაზარ ხომალდზეა მიბმული და ხან ერთი მიგვაფარფატებს აღმა, ხან მეორე მიგვაქანებს დაღმა



***გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი სოსო არჩვაძე.***

- ეკონომიკის მხრივ, ძალიან მოწყვლადი ქვეყანა ვართ. ვფიქრობ, ერთერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ხელისუფლებას უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებაში, არის ჯერ კიდევ 2011 წელს მიღებული ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“.

**- რას გულისხმობს ეს კანონი?**

ახალი გადასახადების შემოღება, მოქმედ გადასახადებში განაკვეთის ზრდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე. არცერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი, თუ ძალიან იდეური არ არის, არ გამოვა და იტყვის, შემოიღეთ ახალი გადასახადი და მზად ვარ გადავიხადოო. ეს არის წმინდა წყლის პოპულისტური შინაარსის კანონი, რომელიც ნაციონალების ხელისუფლებამ მიიღო და ახალმა ხელისუფლებამ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებისთვის კონსენსუსი რომ ყოფილიყო, გარდამავალ დებულებად დატოვა, ანუ 2030 წლის დეკემბრის ბოლომდე ეს კანონი არ შეიცვლება. ამ კანონის არსი ისაა, ჩვენ იმდენად ხელსაყრელი პირობები გვაქვს ბიზნესისთვის, რომ ნუ ეშინიათ უცხოელ ინვესტორებს, შემოვიდნენ საქართველოში და დააბანდონ კაპიტალი, მათ ახალ გადასახადებს არავინ დაუწესებს, არ იქნება მოქმედ გადასახადებში განაკვეთის გაზრდაო. ამ კანონის მიხედვით, გადასახადების შემცირება შეიძლება, ოღონდ იქ ერთი გამონაკლისი დაუშვეს, გადასახადების ზრდაზე აკრძალვა, არ მოქმედებს მხოლოდ აქციზზე. ამ გადასახადის გაზრდა ნებისმიერ ვითარებაში შეუძლიათ. სიგარეტის მწეველებს საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა უწევთ ამ პროდუქციაში. გამოქვეყნდა საქსტატის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ერთ წელიწადში თამბაქოს ფასი 29%-ით გაიზარდა. ვინ იხდის ამ აქციზს? ფიზიკური პირი, მომხმარებელი. ის რაც დააკლდა სახელმწიფოს, რომ არ შეუძლია სხვა სახის გადასახადები, ნახა ასე ვთქვათ, დაბალი ღობე — აქციზი. ამერიკასთან შედარებით, ჩვენთან აქციზური განაკვეთის სიმძიმე შემოსავლების ერთეულზე დაახლოებით 6-ჯერ უფრო მაღალია, იმიტომ, რომ აშშ-ში ასეთი შეზღუდვა არ არსებობს, საერთოდ, არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი რომ მოვაწერეთ, მას შემდეგ დავინტერესდი ამ საკითხით და გავარკვიე, რომ ასეთი შეზღუდვა არ არსებობს.

გადასახადები იმის მიხედვით უნდა შეიცვალოს, რა ეკონომიკური აუცილებლობაცაა მოცემულ მომენტში, თუ ქვეყანას ჭირდება, უნდა შემოიღოს. ერთ მაგალითს გეტყვით, ჩინეთში 1981 წელს შემოღებული იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც ოჯახს მხოლოდ ერთი ბავშვის ყოლის უფლება ჰქონდა, ვინც მეორე ბავშვს გააჩენდა, იყო ფულადი ჯარიმები, სანქციები, შეზღუდვები. ამ აკრძალვამ ჩინეთს 35 წლის მანძილზე საშუალება მისცა, რომ არ დაბადებულიყო 400 მილიონი ბავშვი. მერე ნახეს, რომ მოხდა ჩინეთის მოსახლეობის დაბერება, შრომითი რესურსების მხრივ გაჩნდა დეფიციტი, ინდოეთმა ახალ მიმართულებებში პროგრესს მიაღწია და გაუსწრო ჩინეთს, ამ უკანასკნელის ხელისუფლებამ გააუქმა ეს კანონი. ასე რომ, რისი აუცილებლობაც არის ქვეყანაში, ხელისუფლებამ უნდა შემოიღოს, გაზარდოს, ან შეამციროს გადასახადი.





**- ბატონო სოსო, ჩვენი ეკონომიკის მოწყვლადობის გამომწვევ სხვა ფაქტორებზეც ვისაუბროთ.**

ეს არის დამოკიდებულება რომელიმე ბაზარზე, იგივე ღვინის ბაზარი, ზედმეტად არის დამოკიდებული რუსულ ფაქტორზე, საქართველოდან გატანილი ღვინის 60%-ზე მეტი, რუსულ ბაზარზე მოდის. პოლიტიკური მოთხოვნების, ან სხვა კონიუნქტურული რეაქციების ფონზე შეიძლება ექსპორტი შეიზღუდოს, ასეთი ფაქტი 2006 წელს უკვე გვქონდა, ბოლომდე დაზღვეული არავინაა და ჩვენ რატომ უნდა დავაბიჯოთ ფოცხს ერთი და იმავე ადგილზე, რომ შუბლი ვიტკინოთ. როგორც ინგლისელები იტყვიან, ყველა კვერცხი ერთ კალათაში არ ჩაიდება, ამიტომ ჩვენც უნდა მოვახდინოთ საგარეო სავაჭრო ბაზრის დივერსიფიცირება. ვიმუშაოთ მეტი, რომ გავიდეთ სხვა ბაზრებზეც, რაოდენობრივად ჯერ ვერ უწევს ევროპული ბაზარი რუსეთისას, მაგრამ პროცენტული ზრდა აშკარად არის. გვიცნობენ, თანდათანობით ეცნობიან პროდუქციას, ამაზე მეტი მუშაობა გვინდა, არამწარმოებლური ხარჯების შემცირება. დამთავრდა ის ისტორიული ეპოქა, როდესაც მონოპოლიური მდგომარეობა გვქონდა საბჭოთა სივრცეში 40-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე. ქართული ჩაი, ციტრუსი, ღვინო, მინერალური წყალი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია რომ იტყვიან, მონოპოლიური ფასით გადიოდა იმ დიდ, 300-მილიონიან ბაზარზე, უნდა ვისწავლოთ კონკურენციის პირობებში მოვიპოვოთ ადგილი იგივე რუსეთში და სხვა ქვეყნებშიც. აღარ არის ის მონოპოლიური მდგომარეობა, სხვა ქვეყნებიდანაც შეუძლია შეიტანოს რუსეთმა შედარებით ხარისხიანი და არც ისე ძვირი პროდუქცია. ეს რაც შეეხებოდა გარე ფაქტორებს, დასკვნა ერთია, არ უნდა ვიყოთ მეტისმეტად დამოკიდებული ერთ რომელიმე ბაზარზე.

ქვეყანამ ეროვნული, სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ინტერესები უნდა დაიცვას, ასე იქცევა ნებისმიერი სახელმწიფო, იგივე ისრაელი. შეიძლება არ იყოს თანხვედრა ტაქტიკურ საკითხებში ისრაელსა და აშშ-ს შორის, მაგრამ ისრაელი ცდილობს თავისი ინტერესები დაიცვას, ღიად დააფიქსიროს რაღაც საკითხებში უთანხმოება მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა მისი ყველაზე მთავარი ლობისტი და პარტნიორია, ყოველწლიურად სამნახევარი მილიარდი დოლარის დახმარებას უწევს ისრაელს. დავასახელებდი იმ ფაქტორსაც, რომ ჩვენ ნაკლებად გვაქვს განვითარებული რეალური სექტორი, იგივე სოფლის მეურნეობა. იყო დრო, როდესაც საქართველოში ჩაის პიკური სამრეწველო გადამუსავება გვქონდა, 130.000 ტონამდე ჩაის ვაწარმოებდით, რაც შეეხება ნედლ ჩაის, მისი მოცულობა დაახლოებით 600.000 ტონამდე იყო. დასავლეთ საქართველოში ის ოჯახები, რომლებიც ჩაის კრეფით იყო დაკავებული, წელიწადში 250-დან 300 მილიონამდე საბჭოთა მანეთს ღებულობდნენ, მსყიდველობით უნარიანობით თუ დავთვლით, ეს ციფრი სულ ცოტა ოთხზე უნდა გავამრავლოთ, რაც ყველაზე მოკრძალებული შედეგია. უზარმაზარი შემოსავალი ჰქონდა ამ ხალხს, ვგულისხმობ, აჭარის, აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოს და ნაწილობრივ იმერეთის მოსახლეობას, დღეს ამ ადამიანების დიდი ნაწილი თურქეთშია გაკრეფილი და ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ემსახურება. რეალური სექტორის აღორძინება და განვითარება გვინდა, დღეს აქ წარმოების წილი სადღაც 40%-ია, დანარჩენი არის მომსახურება, მაგრამ ესეც მაშინ შეიძლება განვითარდეს, თუ რეალური სექტორი მაქვს. მაგალითად ავიღოთ ტურიზმი, ტურისტი რომ ჩამოდის, მას შესაბამისი მომსახურება და კვების პროდუქტები ჭირდება, თუ ამ პროდუქტებს ადგილზე არ აწარმოებ, ე.ი. საიდანღაც უნდა შემოიტანო. ეს „საიდანღაც“ უმეტეს შემთხვევაში თურქეთია და რა გამოდის, რუსეთიდან, უკრაინიდან ჩამოდიან ტურისტები საქართველოში და მოიხმარენ თურქულ პროდუქციას, კვების პროდუქტი იქნება თუ სხვა, ფული კი დაიხარჯა საქართველოში, მაგრამ ამ ფულის დიდი ნაწილი სხვა ქვეყანაში გადის. ემოციურად კმაყოფილია რუსი ტურისტი, ეკონომიკურად თურქული ბიზნესი, ხოლო საქართველოში რჩება მარტო წარმოების ნარჩენები, ჩვენი ქვეყანა სხვაგან წარმოებული დოვლათის ნარჩენების უტილიზაციის ადგილი. ამიტომ ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი წარმოება, რომ უცხოელის მიერ აქ დახარჯული ფულის უმეტესი ნაწილი ჩვენთან დარჩეს.



**- ბატონო სოსო, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე რომ მოაწერა ხელი წინა ხელისუფლებამ, რა ვალდებულებებს გვაკისრებს ეს, არ გვაქვს უფლება უარი ვთქვათ იგივე თურქეთიდან შემოტანილ მდარე ხარისხის პროდუქციაზე?**

გარკვეულ პროდუქციაზე დაწესებული ქვოტა, ანუ ზღვრული რაოდენობა, რისი შემოტანაც შეიძლება საქართველოში, დანარჩენის თავისუფალი შემოტანა ხდება. ჩვენც შეგვიძლია გავიტანოთ თურქეთში, მაგრამ, რაც არ გვაქვს, რას გავიტანთ. თანაფარდობა 6–1-ზეა, ყოველ 6 დოლარის ღირებულების შემოსულ პროდუქციაზე, თურქეთში ერთი დოლარის პროდუქცია გადის. ეს არის ასეულობით მილიონი დოლარის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. ბოლო შეფასებით, ჩვენ იმდენ პროდუქციას ვყიდულობთ თურქეთში, დაწყებული ქსოვილით, ფეხსაცმელი, კაფელი და ა.შ. რაც ჯამში თურქეთში 70.000 სამუშაო ადგილს ქმნის. ჰიპოთეტური ვარიანტი წარმოვიდგინოთ, ერთ დღეს უარი რომ ვთქვათ თურქულ საქონელზე, იქ უმუშევრობა 70.000 ადამიანით გაიზრდება.

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, გამოსავლის ერთ-ერთ საშუალებად უნდა განვიხილოთ მეტი სტიმულირება და საგადასახადო შეღავათები ადგილობრივი ბიზნესისთვის. სახელმწიფო კანცელარიიდან და თავისუფლების მოედნიდან რაც უფრო შორს არის კერძო ბიზნესი, მით უფრო კომფორტულად და სახელმწიფოსგან უფრო დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. მეტი საგადახადო შეღავათი, მეტი კრედიტის მიღების შესაძლებლობა, ადგილზე უფრო მეტად დამკვიდრების რესურსი და ა.შ., ანუ ბიზნესის წარმოება სადღაც მთაში, თბილისთან შედარებით უფრო სასარგებლო და რენტაბელური უნდა იყოს ამ ბიზნესისთვის, რომ მოხდეს მისი გაწოვა, ქალაქიდან გასვლა. ამას აქვს არამარტო ეკონომიკური, არამედ სამხედრო-სტრატეგიული, გნებავთ დემოგრაფიული ექსპანსიის შემაკავებელი მნიშვნელობაც.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

## გიორგი ქობულია:

# სულ არ მეშინია ამის გამო ვინმე პრორუსულობას თუ დამაბრალებს

გადაცემა „360 გრადუსში“ ძალზე საინტერესო გამოსვლა ჰქონდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილ მინისტრს **გიორგი ქობულიას**. გთავაზობთ ფრაგმენტებს აღნიშნული ინტერვიუდან, რაც ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისთვის.

**გიორგი ქობულია:** „ზოგი ფიქრობს, რომ საქართველოს ეკონომიკაზე პასუხისმგებელი ეკონომიკის სამინისტრო და მისი მინისტრია, სინამდვილეში ეკონომიკის განვითარების გასაღები ბოლომდე არ დევს ამ სამინისტროში, ეს უკანასკნელი მხოლოდ შემადგენელი ნაწილია და არც თუ ისე დიდი. ეკონომიკის განვითარების დიდი წილი მართლმსაჯულებასა და საგარეო პოლიტიკაზე მოდის. თუ ჩვენ სწორად არ განვსაზღვრეთ და ვმართეთ საგარეო პოლიტიკა, რაც არ უნდა გააკეთოს ეკონომიკის სამინისტრომ და მართლმსაჯულებამ, მხოლოდ ნაწილობრივ შევძლებთ იმ პოტენციალის რეალიზებას, რაც გაგვაჩნია. ორი აზრი არ არსებობს, რომ გეზი დასავლეთის უნდა ავიღოთ და აქეთ მივდივართ კიდეც, რადგან დასავლურმა ბლოკმა თავისი მორალური პრინციპებით, მართვის სისტემით უზრუნველყო საკუთარი ხალხის კარგად, საუკეთესო დონეზე ცხოვრება. ჩვენც გვინდა ასე ვიცხოვროთ, ვიზიარებთ ამ ფასეულობებს. ვერ ვხედავ საფრთხეს, რომ ხელისუფლება დაშორდა ამ ფასეულობებს, მგონია, რომ მივდივართ ამ მიმართულებით. ამავე დროს ჩვენ გვერდით გვყავს დიდი ქვეყანა, ჩრდილოელი მეზობელი, რომელთან დაბალანსებული ურთიერთობის გარეშე, საქართველოს მუდმივად ექნება ძალიან მძიმე, გადაულახავი ბარიერები ეკონომიკის განვითარებაში. უნდა გავიაზროთ და მოსახლეობასაც ავუხსნათ, რომ დასავლეთისკენ მივდივართ, მაგრამ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა, მხოლოდ დამაზიანებელია ჩვენთვის. ამიტომაც მიმაჩნია, რომ რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა კარგის მომასწავებლად. „ქართული ოცნების“ მთავრობის მიმართ ზუსტად ის პრეტენზია მქონდა, ასეთი შეხვედრა უფრო ადრე რატომ არ მოხდა. რუსეთთან საუკეთესო ურთიერთობა არასდროს გვექნება, მაგრამ მასთან დაძაბული ურთიერთობა ძალიან ცუდია. ჩვენ გვჭირდება ინვესტორების მოზიდვა, მაგრამ ისინი დიდი რაოდენობით არც სხვა ქვეყნებიდან მოდიან, დაფრთხნენ, ეშინიათ დაძაბული კონფლიქტის. ამასთანავე მათ დიდი ბაზარი ჭირდებათ, ზოგი ინვესტორი აცხადებდა, რომ რუსეთის ბაზარზეც უნდათ წვდომა, საექსპორტო საქონლის წარმოება და რუსეთში გატანა. ეკონომიკის მინისტრი ვიყავი და მაქვს ამის გამოცდილება. ინვესტორები არ მოდიან აქ, იმიტომ, რომ ვერ ხედავენ ამ წვდომას, ვაფრთხობთ ჩვენს ინვესტორებს. ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, რომ ჩრდილოატლანტიკური ბლოკისკენ კურსის მქონე ქვეყანას, რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა ქონდეს, ვინც ამაში პრობლემას ხედავს, ისინი შეთქმულებათა თეორიის მიმდევრები არიან. ნატოს წევრი არ ვართ, მაგრამ გვაქვს სტრატეგიული შეთანხმება, ასევე გვქვს ასოცირების გეგმა ევროკავშირთან, მგონია, ამაში დიდ პრობლემას ვერავინ ხედავს, მათ შორის რუსეთიც“.




„ავიღოთ ტურიზმი, წელს ძალიან დიდი რაოდენობით ტურისტი დავკარგეთ რუსეთიდან, დავკარგეთ ძალიან დიდი შემოსავლები, ბევრმა მცირე და საშუალო ბიზნესმა განიცადა ზარალი, გამოქვეყნდება აგვისტო-სექტემბრის ციფრები და დავინახავთ რამხელა დარტყმა გვაქვს. აეროპორტებში უკვე დავარდნილია 20%-ით მგზავრების რაოდენობა, ასეთი ვარდნა წლების მანძილზე არ ყოფილა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორი გზა გვაქვს, მივიღოთ ან არ მივიღოთ რუსეთიდან ტურისტები. თუ არ მივიღებთ, არ ვიქნებით მათზე დამოკიდებული და რას მოვიგებთ ამით? რუსეთის ბაზარს თუ გამოვიყენებთ, გაეზდებით დამოკიდებული, როგორც ტურიზმის, ისე ამ შემთხვევაში, მაგრამ უარის თქმით ვერაფერს მოვიგებთ, მხოლოდ წავაგებთ“.



„ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ წლებია რუსეთის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია „რაო“ მართავს მთელი თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელებს, რით ვართ ჩვენ მათზე დამოკიდებული, რამე გააკეთეს მათ ამ პერიოდის განმავლობაში? ვერც გააკეთებდნენ, რადგან ეს იმ ტიპის აქტივია, რომ არანაირი დამოკიდებულება არ არის, შემოვიდა ინვესტორი და მართავს, მეტი არაფერი. ჩვენ გვაქვს რამდენიმე სახის მიმართულება ბიზნესში, სადაც შეგვიძლია გამოვიყენოთ რუსი ინვესტორი, რუსული ბაზარი, რომ დავეხმაროთ ჩვენს ხალხს. აბსოლუტურად არ მეშინია პრორუსად შემრაცხონ, ზუსტად მაგას ვამბობ, ერთ-ერთი პრეტენზია მთავრობის მიმართ რაც მაქვს, ეს პრეტენზიაა, რომ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ვფიქრობ, მათ ეშინიათ სწორი ნაბიჯები გადადგან თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის, ეშინიათ ხალხის, ოპოზიციის, რომ პრორუსებად შერაცხავენ. მეც მეუბნებოდნენ, ეს არ თქვა, ის არ თქვა, ჩვენ ვიცით, რომ ეს სწორია, მაგრამ ხმამაღლა რომ ვთქვათ, იარლიყს მოგვაკერებენ რომ პრორუსები ვართო. ამ შიშის გამოა, რომ არ გადაიდგმება ხალხისთვის სასიკეთო ნაბიჯები. ეს ერთერთი იყო, რაც მე არ მომწონდა. ქვეყნის პოლიტიკას და მართვას უნდა განსაზღვრული ლიდერობა, რასაც ქართულად ვაჟკაცობაც ქვია. ეს ლიდერობა და ვაჟკაცობაა, რაც ამ მთავრობას აკლია. როცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ ჩემს ქართველ კოლეგასთან შეხვედრა ქართული მხარის ინიციატივით მოხდაო, ისევ დავინახე მთავრობის შიში, არა, ეს შეხვედრა შვეიცარიის მხარემ მოაწყოო. რა მოხდა, თქვით, რომ დიახაც ჩვენი ინიციატივით მოხდა, იმიტომ, რომ ეს ჩემ ხალხს ჭირდება. ეს რუსეთს არ ჭირდება, ჩვენ გვჭირდება, ჩვენ ხალხს. მთავრობას კი ეშინია ოპოზიციის, იმ პოპულისტების კრიტიკის, რომ იარლიყს მიაკერებენ. ჩემი აზრით, ასე ქვეყნის მართვა არ გამოვა, ჩვენი პრინციპი უნდა იყოს, ხალხს ვუთხრათ სიმართლე, გავაკეთოთ ის, რაც კარგია ხალხისთვის. როდესაც ადამიანები, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვას ცდილობენ ისეთი რიტორიკით გამოდიან, ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც მე ვარ, რომელსაც არ აქვს მატერიალური პრობლემა, თქვენ ხართ ჟურნალისტი, ადამიანი, რომელიც მუშაობს, სხვებიც, რომელთაც შემოსავალი აქვთ სერიოზული, ასეთი ადამიანებისთვის არ არ არის პრობლემა, მაგრამ აბა, ვკითხოთ, მოსახლეობის 50%-ს, რომელიც უმუშევარია, იმ 20%-ს, რომელიც დღეს უკიდურეს სიღარიბეშია, ვკითხოთ რას ფიქრობენ, ჩვენ იმათ რას ვპასუხობთ?“




„ჩვენ პოლიტიკური თვალსაზრისით არაფერს ვითხოვთ, რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს, აქ საკითხი ძალზე რთულია, რომელსაც გადაწყვეტა ჭირდება და აქ სწორი სტრატეგია გვაქვს, იგივე ლოდინის და რა თქმა უნდა მშვიდობიანი მოგვარებისაც, რაც უფრო ჩქარა გავძლიერდებით ეკონომიკურად, რაშიც გვჭირდება ჩრდილოელი მეზობელთან ურთიერთობის მოგვარება, ისე სწრაფად მოვაგვარებთ რეგიონალურ კონფლიქტებსაც. ეს არის გზა, იმის ძახილით რომ რუსეთი ოკუპანტია და მისი გინებით, ჩვენ უფრო მეტ ოკუპაციას მივაღწიეთ ამ წლების მანძილზე, ვიდრე გვქონდა, ვერ გადავწყვიტეთ პრობლემა. იმაზე არავინ კამათობს რომ რუსეთი ოკუპანტია, მათთან ურთიერთობის დაძაბვით, ჩვენ ამ საკითხს ვერ გადავწყვიტავთ“.

„ევროკავშირის 500 მილიონიანი ბაზარი არის ჩვენი ძირითადი მიზანი და ვიბრძვით იმისთვის, რომ ამ ბაზარზე შევიდეთ. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე, ეს აბსოლუტურად არ გამორიცხავს იმას, რომ ჩვენი პირველი მიზანი არის ევროკავშირის ბაზარი, უფრო მეტიც რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის ნორმალიზაცია დაგვეხმარება ევროპულ ბაზარზე შევიდეთ. რუსული კომპანიები და ტურისტები შემოიტანენ აქ თანხებს, როდესაც შევქმნით უნარჩვევებს, ინფრასტრუქტურას და ა.შ. ევროპულ ბაზარზე შესასვლელად. ეს იმიტომ გვჭირდება, რომ ქართული კომპანიები და ქვეყნის ეკონომიკა მზად არ არის ხსენებულ ბაზარზე შესასვლელად. ის, რომ ჩვენ ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს, უბრალოდ არანაირი შედეგი არ გამოიღო, ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ჩემი საქმიანობა იყო. ევროკავშირის ბაზარზე რაღაც რომ გაყიდოთ, პირველ რიგში ეს რაღაც უნდა აწარმოოთ. ჩვენ არაფერს ვაწარმოებთ და რისი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გვაქვს ევროკავშირთან? ჩვენი ექსპორტი არის ღვინო, სხვას ქართული კომპანიები ვერ აწარმოებენ. დღესდღეობით ევროკავშირის ბაზარზე შესვლა ურთულესია, რადგან საქართველოს ცნობადობა ძალზე დაბალია. მოდით გამოვიყენოთ რუსეთში ჩვენი ცნობადობა, რაც ასობით წლების მანძილზე ვითარდება და მაღალ დონეზეა, ვიცნობთ ერთმანეთის კულტურას, არ გვაქვს ენობრივი ბარიერი, რუსეთი გეოგრაფიულად არის ახლოს. ამდენი კომბინაციაა და გვერდზე გვაქვს გაწეული, ეს ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ და შემოსავალი მივცეთ ჩვენ ხალხს. აღმოვფხვრათ სიღარიბე, შევქმნათ ინფრასტრუქტურა და პარალელურად შევიდეთ ევროკავშირის ბაზარზე, ის ლაპარაკი, რომ ჩვენ დამოკიდებული ვიქნებით რუსეთზე, არის პოპულისტური, არ ვიქნებით დამოკიდებული, პირიქით, ახლა ვართ დამოკიდებული რუსეთზე, იმიტომ, რომ მათთან ეკონომიკურად არ ვთანამშრომლობთ. რაც ახლა ხდება ეს არის ყველაზე ბოროტება, რადგან ხელს გვიშლის განვითარებაში. სულ არ მეშინია თუ ვინმე პრორუსულობას დამაბრალებს, პრორუსული კი არა, პროდასავლური ორიენტაციის ვარ და რაც მიკეთებია, ყველაფერი დასავლეთთან არის დაკავშირებული“.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# მამაოთა ამაოება, ანუ სასაცილოდან სასატირლომდე

ჩემ სოფელში, გაგანია სოციალიზმის პერიოდში ერთი მღვდელი ცხოვრობდა, კაი კაცი, მშრომელი, მაგარი იუმორის პატრონი. მოგეხსენებათ, მაშინ სასულიერო პირები ჯიპებით და ძვირადღირებული მანქანებით არ დადიოდნენ. არც იყო და ვერც დადიოდნენ. ჩამოვიდოდა მამა მიხო ვენახში, მოიკიდებდა აბარატს, შეწამლიდა, გათოხნიდა, შუადღისას მომიჯნეები შეიკრიბებოდნენ მისი ფანჩატურის (ფანჩატური – ვენახის თავში ბოძებით შეკრული ორსართულიანი ე.წ. სათვალთვალო ქოხი) ქვეშ გაშლიდნენ სახლებიდან წამოღებულ საგზალს, დადგამდნენ ღვინით სავსე ნიტრას და თან მიხოს ჰკითხავდნენ:



- მამაო, დღესა მარხვაა და ხორცი ჭამა შეიძლება?

- ჭამეთ, შვილებო, ჭამეთ, სადაც მე ვარ, იქ ყველაფერი შეიძლება! – გადასწერდა მიხო იქაურობას ჯვარსა და თვითონაც ივიწყებდა, რომ მარხვა იყო.

1975 წელს საქართველოში ჭორი გავრცელდა, ვინც არ მოინათლება, წლის ბოლომდე მოკვდებაო. ახალგაზრდებს არა, მაგრამ საშუალო და უფრო მეტი ასაკის ხალხს ეს ამბავი ემახსოვრება. იძრა დუნია, დაუდგა მიხო პაპას რიგები სახლის კართან (ეკლესიაში არ მოღვაწეობდა), წამოვიდა ფულის წვიმა, ყოველი კვირის ბოლოს „მეშოკებით“ მიჰქონდა ბანკში. ასე გაგრძელდა ერთი თვე, ორი, სამი… დაიღალა კაცი, ქიზიყში ეს ერთი მღვდელი „მუშაობდა“. აღარც ფული უნდა, აღარც წირვა, აღარც ნათლობა, რა უფალი, რის უფალი, გიჟათ არი. ერთ დილასაც გაიღვიძა, კარი გააღო, ისევ რიგია და ეგრევე გაჭედა – ეზოში მიიხედ-მოიხედა, ცოცხს წამოავლო ხელი, წყალში ამოავლო, ყველა მიწუწ-მოწუწა და მიაძახა: გასწით, თქვენი კეთილებიც მოვტ…ან, ყველანი მონათლულები ხართო!

ჩემო ძვირფასებო, ამ ფაქტების მოხმობით იმის თქმა მინდა, რომ (ზემოთაც მოგახსენეთ) მღვდელი თუ დიაკვანი ნამდვილად არ არის ღმერთი და როგორც ჩვეულებრივი მოკვდავნი, ისინიც უშვებენ შეცდომებს. ერთი ახლობელი მყავდა ასეთი, შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, კახეთის ერთ-ერთ სოფელში საარჩევნო შტაბის უფროსი იყო. ვარდების რევოლუციიდან რამდენიმე წელიწადში აღიკვეცა და ეკურთხა. ერთხელ, როცა საკმაოზე მეტი ღვინო ყლურწა, გამოტყდა: შვილო ჩემო, რაც მე არჩევნები მაქვს გაყალბებული, ალბათ უფალი არასოდეს მაპატიებსო. მამაო, ხათუნა გოგორიშვილის „პადელნიკი“ იყავით-მეთქი? ჰო, შვილო, მა რა დოზანა ვიყავიო? შემდგომში ამ კაცმა ისეთი კაი რაღაცები ჩაიდინა, გმირობის ტოლფასი როა. დიდი სიამოვნებით გიამბობდით მის სასიკეთო საქმეებზე, მაგრამ ვიცი, საკუთარ თავს ამოიცნობს და ეწყინება.

ამ მხრივ ერთ-ერთი სამაგალითო ადამიანი გახლავთ სიღნაღის პოლიციის ყოფილი უფროსი იოსებ ხოხონიშვილი, მეტსახელად „ტაშკანა“, რომელიც ამჟამად მცხეთის ეპარქიაში მსახურობს და კაი-კაი ლექსებსაც თხზავს. „ტაშკანა“ არაორდინალური პიროვნება იყო და, ალბათ, ახლაც არის, ყველაფერი მოინანია, წავიდა ეკლესიაში, ეკურთხა მღვდლად და მუშაობს ღვთის მსახურად. მამა იოსები ვერ იტანს „ნაციონალებს“, სწორედ ამიტომაც დააჭედა მათ პოლიტიკურ კუბოს 2012-ში ლურსმანი თავისი ლექსით:

### ნაცი + ანალები

არაყი სვავდა რახს,
ნიორი ჭამდა ხახვს,
სიცრუე მოედო ხავსს,
„მეტი სარგებელი ხალხს“
ეს ქიცმაცური, ის კი ქიცია,
ნაცებმა მეტი არა იციან.
სად პოლიტიკა, სად პოლიცია,
მოდის ოცნების კოალიცია…
კვლავ ემიჯნება ნამუსს ნაცია,
სირცხვილი როგორც კაბა აცვია,
ერთი უგულო ცივი კაცია,
ხან კურდღელია, ხანაც ვაცია.
დგას ბოროტების ბრმა ფორმაცია,
გარეთ გაჟონა ინფორმაციამ.
სად აღშფოთება, სად ოვაცია,
დაემატება პროტესტს აქცია.
ეშმასთვის სამჯერ შეუფიცია,
ცხრაჯერ შეცვალა კონსტიტუცია.
მან შეაჯერა პროსტიტუციას,
ხმების გადათვლის ინსტიტუცია.
ერთი კენტია, ათი ლუწია,
ნაცებს ცოდვებმა უკვე უწია,
დაცხრა ცოცხების ეგზეკუცია,
დაჭკნა ვარდების რევოლუცია.
არ დააყენა მიშამ ორალი,
ასეთი არის მისი მორალი,
როგორც ხელკეტზე ნაცვი ანალი,
ისე გაცოცხეს ნაციონალი.
სიტყვა – სიტყვაა, ფიცი – ფიცია,
საქმით დაფასდა ბიძო ბიძია,
ყოველი კარგად გამოიძია
და სამართალმაც შური იძია.



თუ მამა იოსებს რამე დაუშავებია, უფალი თავად მოსთხოვს პასუხს, ან აპატიებს, ან – არა, მაგრამ ვფიქრობ, მან ამ ლექსით უკვე გამოისყიდა არაერთი ცოდვა. ხუმრობა იქით იყოს… აი, ჩემი და აწ გარდაცვლილი მეუფე კალისტრატეს ურთიერთობა კი ნამდვილად არის გვირგვინი იმისა, რაც აქამომდე დავწერე: 2011 წელია, თბილისში საპროტესტო აქციები მიდის, რუსთაველი გადაჭედილია, დედები შვილებს აღარ იყვანენ ხელში. პარლამენტის წინ ვარ, რეპორტაჟი უნდა დავწერო გაზეთისთვის. ვიღაც მირეკავს. მეო, მეუფე კალისტრატე ვარ, თუ სასწრაფოდ ქუთაისში არ ჩამოხვალ, ანათემას გადაგცემო. მეუფეო, ხომ იცით, თბილისში რაც ხდება, დაძაბული სიტუაციაა, ცოტა დრო მომეცით, ერთ კვირაში ჩამოვალ-მეთქი. არ მაინტერესებს, შე კათოლიკევ (რატომღაც მისთვის „კათოლიკე“ სალანძღავი სიტყვა იყო), მხოლოდ ერთ დღეს გაძლევ, ხვალ დილას აქ უნდა იყოო. ამ ყველაფრის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ერთი ქალბატონი უჩიოდა, მჩაგრავსო და ამაზე ინფორმაცია გამოვაქვეყნე. მოკლედ, ანათემა რომ მიხსენა, ფერი მეცვალა, საღამოს ამ საქმის მცოდნე რამდენიმე ადამიანს გადავურეკე და მითხრეს, ნუ გეშინია, მაგის გაკეთება მხოლოდ პატრიარქს შეუძლია და არც არასდროს გაუკეთებიაო. კი დავმშვიდდი, მაგრამ მაინც გარკვეული დისკომფორტი მაქვს, მეუფე რომ



შეგაჩვენებს, როგორია? გამთენიისას „მარშრუტკით“ გავქანდი ქუთაისში. ავტოსადგურში შავი „გაზ 31“-ით დამხვდა საკმაოდ სიმპატიური მამაო, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც სულ ციმ-ციმ მიმიყვანა კალისტრატესთან და საგანგებო ტყვესავით ჩააბარა ჩემი თავი. წამიყვანა, ქუთაისის ერთ-ერთ გარეუბანში, კაი მდიდრულ კერძო სახლში. როგორც მოგვიანებით გავაანალიზე და დავასკვენი, ერთ-ერთი ეპისკოპოსის ოჯახში. სუფრაა გაშლილი, იმის დედა ვატირე, ჩიტის რძეც არის ჭიქებით ჩამორიგებული. თამადად მეუფე ეკურთხა თვითონვე. სუფრასთან სხედან სულ მაღალი იერარქიის სასულიერო პირები, შესამოსელის მიხედვით ვხვდები. სიჩუმეა, თითქმის არ ლაპარაკობენ, ათასნაირ კერძებს მიირთმევენ, თან ღვინოს აყოლებენ. თუ რამეს იტყვიან, ისე ხმადაბლა, ყურების დაცქვეტის გარეშე რომ ვერაფერს გაიგონებ. მეუფემ ყანწი მოატანინა, შეავსებინა, სადღეგრძელო თქვა, დალია, ისევ შეავსებინა, მომაწოდა, დალიე, შვილო ჩემოო და დაჯდა. თვალით ვზომავ, დაახლოებით ლიტრაზე ცოტა მეტი უნდა ჩადიოდეს. ნუ, კაი, ერთს დავლევ, გავუძლებ როგორმე. ვსვამ, მაგარი ღვინოა – კახური „რქაწითელი“, ყანწიდან ქვევრის სურნელი ამოდის. მეუფე გაჩერებას აღარ აპირებს, თვითონ ახოვანია, რომ მოინდომოს ყანწებით იომებს. ავსებინებს მეორეს, სვამს, მაწვდის.

- მეუფევ, ვეღარ დავლევ, ცალკე გავიდეთ, დავილაპარაკოთ, მითხარით, რაც გინდათ, თბილისში უნდა დავბრუნდე, – ვეუბნები თითქმის ჩურჩულით.

- დალიე, შვილო ჩემო, დალიე და ლაპარაკსაც მოვასწრებთ, – მპასუხობს ხმამაღლა.

ვსვამ, მაგრამ ვაი, ამ დალევას – ვატყობ, მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ოთახი თავის სასულიერო პირებიანად და სუფრიანად ტრიალებს. მესამე ყანწზე უკვე ვჭედავ, ხელებს ვასავსავებ, ვდგები და ეზოში გამოვდივარ, ფეხზე ძლივს ვდგავარ. რამდენიმე წუთში მეუფეც მომყვება და მეგობრულად მომმართავს:

- ბიჭო, შენ ხომ კახელი ხარ?

- ჰო, მაშ, – ვპასუხობ მოკლედ, ლაპარაკის თავი აღარ მაქვს.

- ჰოდა, მეც კახელი ვარ, მარგალიტაშვილი!

- ვა, მართლა? არ ვიცოდი.

- ერთი გამაგებინე, კახელი კახელს რათ მებრძვი?!

- რავი, ქალი მოვიდა, კალისტრატე მჩაგრავს, სამსახურიდან გამაგდოო.

- გავაგდე არა, ისა… ეგა, შვილო, გიჟია, ვერ არი თავის მატორზე!

- არ ვიცი… შეიძლება, მაგრამ თქვენ მაინც მიმტევებელი უნდა იყოთ.

- ნუ მებრძვი, ნუ ხარ კათოლიკე… მე, კახეთიდან ჩამოსულმა კაცმა ამხელა იმერეთი დავიმორჩილე, ამხელა გავლენა მაქვს, შენ ეს ხუმრობა გგონია?!

…ღმერთმა აცხონოს მეუფე კალისტრატე, გარდაცვლილია და აუგი აღარ ითქმება, მაგრამ ერთს კი დავამატებ: ისიც ძაან არაორდინალური ადამიანი იყო, პერიოდულად მაგრად წაუმიშისტებდა ხოლმე, 2012 წლის შემდეგ გაჩერდა, ანუ კალაპოტში ჩადგა.

ღმერთო, დალოცე საქართველო!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



ვახტანგ ხარჩილავა:

# სამი, ერთის ნაცვლად

ბოლო დროს მომხდარი ამბებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობის ამბავი ის არის, რომ ერთი რუსთავი-2-ის ნაცვლად უკვე სამი რუსთავი-2-ი გვაქვს: ერთი ქიბარისა, მეორე ნიკუტასი და მესამეც — კეზერასი.

იყოს სამი, ჯანდაბას, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ სამივე ერთნაირად „რეპავს“, განსაკუთრებით ქიბარის „რუსთავი-2“-ი იკლავს თავს, რომ როგორმე ნიკუტას „რუსთავი2“-ს დაემსგავსოს.

კაკოია ხონელმა, რომ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ნოკაუტში ხარ, თორემ ბერძენიშვილის მანდ მოყვანა როგორ შეიძლებოდა?

მახსოვს, რა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები დაახვავა ბატონმა ირაკლიმ წარდგენისას — სარედაქციო დამოუკიდებლობაო, სიტყვის თავისუფლებაო, დემოკრატიაო, ადამიანის უფლებებიო, ობიექტურობაო, მიუკერძოებლობაო, ევროპული სტანდარტებიო.

„წინასაარჩევნოდ“ დაბრე-









თუ ისევ ისეთი უნდა ყოფილიყო ეს ავადსახსენებელი „რუსთავი-2“, როგორიც გვარამიას დროს იყო, რას ერჩოდით ამ გვარამიას, დაგეტოვებინათ გენდირექტორად და მეორე „რუსთავი-2“-ს მაინც არ გახსნიდა.

საზღვარგარეთიდან დიდი ზარ-ზეიმით ჩამოყვანილმა ირაკლი იმნაიშვილმა, რომელმაც თავი იმით დაამახსოვრა საქართველოს, რომ კაკო ბობოხიძემ ცხვირი გაუტეხა და ნოკაუტში ჩააგდო, უფრო უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ტელეკომპანიაში გაქანებული „ნაცი“, სულით, ხორცით, სიტყვით, საქმით, მთელი თავისი ბიოგრაფიით „ნაცი“ ხათუნა ბერძენიშვილი მოიწვია.

ისეთი რა დაგარტყა, პატ. ირაკლი იმ მკლავგასახმობმა

ხებული სიტყვების რახარუხი აღმოჩნდა ეს ყველაფერი, რომელთა ნაცვლად ხელთ შეგვრჩა პროვინციალიზმი, ნაცნობი კლიშეები, უგერგილო კოპირება.

ყველაფერ ამას, ერთად აღებულს, უნიჭობა ჰქვია.

გასაოცარია პირდაპირ — რესპოდენტებსაც კი ერთიდაიგივეს ირჩევენ — აქაც ბოკერია, იქაც ბოკერია, აქაც ზოდელავა, იქაც ზოდელავა, აქაც ხოშტარია, იქაც ხოშტარია, აქაც მელია, იქაც მელია, სერიალები აქაც თურქული, იქაც თურქული, საუბრის მანერაც იგივე, ტექსტიც თითქმის იგივე...

რა იყო, ერთიდაიგივე ნაციონალური „იმით“ ხომ არ ხართ ყველანი გაკეთებული, თქვე საბრალოებო?



პოლიტპარადოქსები

# აქეთ გზა მორწმუნე მიშასი! იქით გზა ურწმუნო ბოკერიასი! აირჩიე, ქართველო ხალხო!

ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და გიორგის არქმევდნენო, ხომ გაგიგონიათ?

2020 წელი ჯერ არ დამდგარა, აქიდან გამომდინარე, არც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულა, ესენი კი ახლავე ითვლიან შედეგებს და ერთმანეთში ისეთი ცილობა აქვთ, ლამის ერთმანეთი დაჭამონ.

დასხდებიან „მთავარში“ ნაცები და ევრონაცები, შუაში საერთო „ტურფას“ ნიკუტა გვარამიას ჩაისვამენ და არის ერთი ბრდღვნა და წიოკობა.

ნიკუტა, მეტსახელად „გაუპატიურებული ოფოფი“, იაფფასიანი ბორდელიდან ახლადგამოსულ ეშმაკს რომ ჰგავს, ხან აქეთ გადმოიქნევს ქოჩორს, ხან იქით გადააქნევს, მაგრამ ესენი ვერ წყნარდებიან.

ჯერ იყო და ევრონაცებმა წამოიწყეს „ხატზე დაფიცების“ ცერემონიალი დევიზით: დაიფიცე, რომ „ქართულ ოცნებას“ კოალიციურ მთავრობას არ შეუქმნი!

— პირველ ადგილზე გასული „ქართული ოცნება“ მთავრობის დაკომპლექტებისთვის საჭირო ხმებს ვერ მიიღებს. მას სხვა პოლიტიკური ძალა უნდა დაეხმაროს, რომ კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბოს, მაგრამ თუ ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია ოცნებასთან თანამშრომლობზე უარს იტყვის, მაშინ „ოცნება“ მთავრობის დაკომპლექტების უფლებას კარგავს და უფლება ავტომატურად გადავა მეორე ადგილზე გასულ პარტიაზე — ასე ბჭობდენ, ევრონაცების „გენიოსი“ სტრატეგოსები და თავიანთი წინასწარჭვრეტის შეუმცდარობაში სხვებსაც დაბეჯითებით არწმუნებენ.

— ესენი ისე დარწმუნებით იმეორებენ ამ მეორე ადგილს, თვითონ ხომ არ აპირებენ მეორე ადგილზე გასვლასო, — იეჭვიანეს ნაცებმა და ისეთი დასცხეს ევრონაცებს, თვალებიდან სულ ნაპერწკლები აყრევინეს.

„ომში“ ნაცების მთავარი გარემარბი მიხეილ მოუხელთებელი ჩაერთო და ევრონაცების ლიდერს გიგა ბოკერიას სატანისტობასა და ღვთისმგობლობაში დასდო ბრალი.

— მე მრწამსით მართლმადიდებელი ვარ, აგერ ჯვარი მკიდია, ტრადიციების პატივისმცემელი კაცი ვარ, მაგრამ გიგა ბოკერიამ ამირია გზა-კვალი. მაგან სცადა ღმერთსაც და ტრადიციებსაც დავშორებოდი, მაგრამ არაფერი გამოუვიდაო, — დაასმინა ქართველო ხალხის წინაშე ურჯულო გიგა ღვთისმოსავმა მიხეილმა.

— ეგ ახლა მთელ თავის ცხრაწლიან ნამოქმედარს მე დამაბრალებსო, — თქვა გიგამ, თუმცა რაღა თქვა — ხელით, თავით, კისრის და მთელი სხეულის კონვულსიური რხევით „აღმოსთქვა“ ურწმუნო გიგამ.

რა სჭირს ამ კაცს — სამეტყველო აპარატი ისე აქვს მოშლილი, რას ლაპარაკობს, ვერ გაიგებ.

არ მახსოვს, ადრეც ასე იყო ეს თუ ბოლო ხანებში დაემართა პოლიტიკოსისთვის საბედისწერო ეს ავადმყოფობა?

თავსაც რაღაც უცნაურად ატრიალებს — თავი თითქოს ხრახნით აქვს მიხრახნილი კისერზე, ხრახნი კიდევ მოშვებულია და ეს თავი ტრიალებს და ტრიალებს თავისი თ.

— ეგ ბოკერია ივანიშვილთან არის გარიგებული. ისეთ რაღაცებს ლაპარაკობს, ისე იქცევა, აშკარაა, რომ ივანიშვილთან ფარულ ალიანსში იმყოფება, — დაასკვნა ყოვლისმცოდნე თაკო ჩარკვიანმა, რომელიც პოლიტიკაში ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში.

— ბოკერია კი არა სააკაშვილია გარიგებული ივანიშვილთან... ვერ ხედავთ, როგორ „სატოპკეებს“ აუწევს ხოლმე საჭირო დროს და საჭირო მომენტში, — არ ეთანხმებიან ვიღაც-ვიღაცები ქ-ნ თაკოს.

— ორივენი ივანიშვილის თოჯინები არიან... მაგან დაყო და გახლიჩა „ნაცმოძრაობა“ რამდენიმე ნაწილად და ერთმანეთს მიუსია. დაყავი და იბატონეო, ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, დაყო ბატონმა ბიძინამ ეს არამზადები და ახლა როგორც უნდა, ისე ატრიალებს ამ შავ დღეზე გაჩენილებს.

ასეა თუ ისეა, ეს „ნაცები“ და „ევრონაცები“ ისე არიან ერთმანეთზე აღრენილები, ქართულმა ოცნებამ ხელიც რომ არ გაანძრიოს, თვითონ დაჭამენ ერთმანეთს.

რაც უფრო მივუახლოვდებით არჩევნებს, ეს დაპირისპირება ფინიშის სწორზე უფრო და უფრო გამძაფრდება და ესენი ისეთ გამაოგნებელ კომპრომატებს ამოუყრიან ერთმანეთს, „ქართული ოცნება“ გრიალ-გრიალით გავა პირველ ადგილზე და იმდენ ხმას აიღებს, მთავრობის დასაკომპლექტებად არც მიშა მართლმადიდებელთან დასჭირდება პარტნიორობა და არც სატანის მოციქულ ბოკერიასთან.

მანამდე კი მოჩხუბრებს შორის ჩაფენილი გვარამია ხან სააკაშვილისკენ გადმოიქნევს ქოჩორს და ხან ბოკერიასკენ გადაიქნევს და ისეთ „ჩორტებს“ ჩააგდებს შიგადაშიგ, იფიქრებ, ესეც ივანიშვილთან ხომ არ არის შეკრული?

არა, არა, ეგ როგორ იქნება შეკრული, ნოდარიკო მელაძეს თუ დავუჯერებთ, გვარამიას ხომ დაჭერას უპირებენ და თან რაც შეიძლება მალე.

კი, უპირებენ, მაგრამ ხომ არ დაუჭერიათ?

მაგას რამდენი ხანია სულ რაღაცას უპირებენ და უპირებენ, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება, გვარამიამ კი, ამასობაში, ხვეტა და ხვეტა მილიონები, თანაც იმდენი, რომ ახალი ტელევიზიაც კი გახსნა.

რატომაც არა, 27 მილიონს სახელმწიფოს რომ არ გადაუხდი, იშოვი მილიონებს, აბა, რას იზამ?

შორს არ არის ის დრო, როცა ქრისტიანი მიშა სკაიპით შემოვარდება გვარამიას „მთავარში“ და დაიქუხებს: აქეთ გზა მორწმუნე მიშასი! იქით გზა ურწმუნო ბოკერიასი! აირჩიე, ქართველო ხალხო!





## გოჩა გვასალია:

# დაპორჭყნა განგებამ ივერია და სწორია უფლის მსჯავრი



ყოველთვის მაფიქრებდა ქართველთა ეროვნული მოძრაობის შავი ბედი. გასული ასწლეულის 80–90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა კიდევ ერთი ბასრი ტეხილი და დიდი მარცხია საქართველოს ისტორიაში. ჩემთვის სულაც არაა საამო ამაზე წერა და ნურვინ იფიქრებს, რომ ერისკაცის სახელის მოსაპოვებლად ვწერ ამაზე. ეროვნულ მოძრაობას ჩემი გულისა მივეცი და პასუხს ვითხოვ მისი სამუდამო ჩაფლავების გამო. ეროვნული ლიდერები სხვათაგან მუდამ მაღალ ზნეობას და გულისმიერობას მოითხოვდნენ და საქვეყნო საქმე დასაწყისშივე დაასამარეს. მთელი ეს წლები საქართველოში ვიყავი და არ წავსულვარ უცხოეთში. ჩემს თვალწინ ჩაიარა ამდენმა უბედურებამ, უჭკუობამ, ღალატმა. სიმდაბლის აღზევება მოხდა და გაბათილდა მთელი ქართული ჰუმანიზმი, რაც თაობებისათვის გარანტად და ორიენტირად იყო მიჩნეული. რატომ მოხდა ამდენი ბოროტება ერთ ციდა ქვეყანაში? როგორი ყოფილა მუდამ უკეთურებაში მყოფი ქვეყნის შვილობა! მამა-პაპათა ნაჭამი კაწახის გამო შვილთაშვილნი და ბადიშის ბადიშნიც კი სულ იგვემებიან და უსვეობაში ჰგიან. პატრიოტული რიგორიზმისა და მაქსიმალიზმის ბოლო იყო და არის დეკადენტობა და კონფორმიზმი. საქართველო რჩება გეოგრაფიულ და ეთნიკურ ცნებად. საქართველო არაა პოლიტიკის სუბიექტი. საქართველოს ქმნის ამერეთისა და იმერეთის ტომების კრებადობა. ხელის თითებზე დაითვლება მთელი საქართველო.

რაც მითქვამს და დამიწერია ეროვნული მოძრაობის მხარდასაჭერად, ეს ბევრმა კიდევ ერთ გულსაფხანად გაიხადა. არ სურთ ქართველთ დასობა და განსჯა. მხოლოდ ერთობიან საკუთარი უბედურებით. მხოლოდ სათავმოთნოდ თუ იტყვიან რაღაცას ქვეყნის ჭირზე. თანამოაზრეთ ერთურთიც ფეხებზე ჰკიდიათ და სხვებზე რა უნდა ითქვას? როგორც „კათალიკოსთა სამართალმა“ (1543–49) ვერ აღმოფხვრა ტყვეთასყიდვა და უწესობა იმერეთის სამეფოში, ასევე პატრიარქ ილია II-ის 1989 წლის ოქტომბრის ბრძანებამ ვერ შეაკავა ერთურთის ხოცვა. პატრიარქმა მკვლელთა შეჩვენებაზე იმიტომ თქვა ასე, რომ უკვე 1989 წლის შემოდგომაზე სამოქალაქო ომის აჩრდილი ადგა თავს საქართველოს. სისხლის სუნი ტრიალებდა და დისიდენტი პოლიტიკოსები განზრახ ურევდნენ იმას, რისი არევაც არ ეგებოდა.

ვერ აამაღლა ქართველთა ეროვნული შეგნება ამდენმა ეკლესიამ, ამდენმა ეროვნულმა პარტიამ და ბეჭდურმა გამოცემამ. ფინეთი ადრეული შუა საუკუნეებიდანვე შვედეთის ქვეშევრდომი იყო. ფინეთს ესტონეთისა და ლატვიის მსგავსად არა აქვს ის, რასაც საკუთარი ისტორია ჰქვია. ფინეთი დღეისთვის ევროპის განვითარებული ქვეყანაა. რაც დაისახეს მიზნად ფინელებმა, აღასრულეს კიდეც. მათთან არის კონსოლიდაციაც და კონსენსუსიც. ნორვეგიას არა აქვს ისტორია. ის ჯერ დანიის და შემდეგ შვედეთის ბატონობის ქვეშ იყო. ახლა ნორვეგია ევროპის უმდიდრესი ქვეყანაა და განა მხოლოდ ესაა. ნორვეგეიელებს შეუძლიათ სიმდიდრის და სვიანობის შეფრება. ასე იფერებენ სიმდიდრეს და ყისმათიანობას ევროპის სხვა ქვეყნებიც. 1945 წელს გერმანიამ მიიღო დამარცხების ისეთი პირობები, რომელიც გაცილებით მძიმე იყო 1919 წლის დამარცხების პირობებთან შედარებით. ქვეყანა ნანგრევებში იყო. მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარებმა ქვეყანა გაყვეს. ამას დაემატა გერმანელ ლტოლვილთა მილიონები. გერმანელები გამოყარეს ჩეხეთიდან, პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. 50-იანი წლების დასავლეთ გერმანიამ უკვე ეკონომიკური სასწაული მოახდინა.

საქართველო საბჭოთა იმპერიაში სასათბურე პირობებში ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომში გაღებული მსხვერპლის გამო სტალინის დროიდან საქართველოს ბევრი უპირატესობა ენიჭებოდა. საბჭოთა დროში ქართველისათვის კერძოობდა რუსი ისე, როგორც არავისთვის. რუსი უვსებდა ხელს ქართველს. რუსის ოდენობას აღარავინ უზამს საქართველოს. დოვლათით სავსე ქვეყანა დატოვეს კომუნისტებმა და ისევ ქართველებმა გაძარცვეს და გააპარტახეს ყველა დარგი. თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დაეტევა მთელი აფხაზი ეთნოსი და კიდევაც დარჩება ცარიელი ადგილები. აი ამ მცირერიცხოვან, ტრავმირებულ მონათესავე ხალხსაც ვერ მოუარა საქართველომ და ყველაფერი რუსეთს დააბრალა.



ახლანდელი სტაბილურობა მიღწეულია არა კონსენსუსის გზით, არამედ ყველაფრის დავიწყების გზით. ქართველთა ბატონ-პატრონი ისევ უცხოელია. ყველა დაწესებულებაში უცხოეთის რეზიდენტები არიან. თუ ეს ბატონი წავა, ქართველნი კვლავ ერთურთის გასაწყვეტად შეიმართებიან. ალალი იყოს ქართველებზე უცხოელის მათრახი და თაფლაკვერი! სულაც რომ გაქრეს დასავლეთი და რუსეთი, აქვს კი როდესმე აზრი ეროვნული მოძრაობის განახლებას? როცა ეროვნული მოძრაობის ასეთ გაუგონარ კატასტროფაზე ფიქრობ, ეს კითხვა თავისთავად ჩნდება.

დიდად უკუღმართია ქართველის ზნე. ადრე, თათრის დროს, ილღარები და ყათლანი (შემოსევები და გაწყვეტა) რომ ეწყობოდა, ქართველი კაცი გარბოდა. უპატრონოდ დარჩენილ დედა-წულს თათარი იკლებდა და აბახებდა. მტრის წასვლის შემდეგ ქართველი ტაბლასაც დადგამდა და ბუქნასაც იზამდა. შორიდან შეჰხაროდა ქართველი კაცი თავისი დედისა და ცოლ-შვილის გამბახებელს. ეს მახინჯი ქსენოფილია დარჩა ქართველის ზნეში და მუდამ ვლინდება. ქართველი ქალიც ასეა. მას ახარებდა და ახარებს უცხოელის მოსვლა და სამსიძაოდ დაიარება მასთან. ეს ხომ დღეს ყველგან ჩანს.

XX საუკუნის დამდეგიდან რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებში მარქსისტი და სხვა ყაიდის რევოლუციონერი ქართველნი ყველას სჭარბობდნენ. ცარისტულ იმპერიაში რევოლუციური დისიდენტობა ყველაზე მეტად საქართველოში იყო გაცხოველებული. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ქართველნი იყვნენ ყველაზე მეტნი, როგორც დევნილი რევოლუციონერები, გადასახლებულები (ссыльные) და კატორღელები. ქართველი მენშევიკი მარქსისტები რუს მარქსისტებს ეკამათებოდნენ პროლეტარული რევოლუციის საკითხებზე. ქვეყნის პოლიტიკური ელიტა იყო ანტიპატრიოტი და მსოფლიო წითელი რევოლუციის მოიმედე. ამ მარქსისტული პოლემიკის ბოლო ის იყო, რომ 1921 წელს ელიტა ქვეყნიდან გაიქცა და გაფრანგდა. 1918–21 წლების სიტუაცია განმეორდა 90-იანი წლების დამდეგს. არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ საბჭოთა ბანაკში არავის ჰყავდა ამდენი ანტისაბჭოელი დისიდენტი, რამდენიც საქართველოს. მათი დაწყებული პოლიტიკური მოძრაობის ბოლო ისევ თავისმოჭრა და სამუდამო შერცხვენა იყო. ეროვნული ლიდერების უმეტესობა პოლიტიკის გაგებაში არ იყო და შიზოთიმიურად იჩემებდა პოლიტიკოსობას.

თავის გასამართლებლად ითქმის, რომ 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა იყო დაგეგმილი საბჭოთა უშიშროების მიერ და ეს იყო სპექტაკლი. მაგრამ განა ასეთივე მოძრაობა არ იყო აღმოსავლეთ ევროპაში? თუ ეს სპექტაკლი იყო, რაღას დარბოდნენ მიტინგებზე თავქუდმოგლეჯილნი? რაღა აზრი ჰქონდა ბიბლიის წარამარა ციტირებას მიტინგებზე? ბიბლიაში კი წერია, რომ სიმწარესა და მარცხიანობაში კაცს სინდისი განუცხოველდება და სინანულით აღივსება, მაგრამ ქართულ სინამდვილეში ასე არაა. დამარცხებას მუდამ სხვებს აბრალებენ.

1992 წლის 22 დეკემბრამდე ტყვია არაერთხელ გავარდა და იყო ათობით მოკლული. პარტიები ერთურთს მტრობდნენ. 1990 წელს მოხდა პარტიათა შტაბების დარბევები და მკვლელობები. თეიმურაზ მირიანაშვილმა ძალზე კარგად დაწერა ვრცელ წერილში მაშინდელ სიტუაციაზე (გაზ. „საქართველო“, 1991, 1 მაისი, N9). მან თქვა შევარდნაძის ჩამოყვანაზე. ავტორი ხედავდა რა შვილნიც იყვნენ ეროვნულ მოძრაობაში და რას დამართებდა ქვეყანას მათ მიერ ძალაუფლების აღება.

დიდი კატასტროფების წყებაა საქართველოს წარსული. ესაა ზიგზაგების წყება. არ ჩანს თანმიმდევრულობა, კავშირი თაობათა შო-



***გოჩა გვასალია — ნიჭიერი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, ესეისტი, მეცნიერი. გარდაიცვალა 2019 წელს 53 წლის ასაკში.***



რის. საქართველოს ისტორია არის პერმანენტული წყვეტები, გაუქმება და ახალი ბატონის აპოლოგია. ჯერ თათრის დრო ემძიმებოდათ და რუსთ მოსვლას იხვეწებოდნენ. მოვიდა რუსი და ისევ თათრის დრო გახდა სანატრელი. ანტისაბჭოთა დისიდენტები აქებდნენ ჩრდილოკავკასიელებს, რომელნიც XIX საააუკუნის 40-იან წლებში რუსებს ებრძოდნენ. მაგრამ განა ქართველმა თავადებმა არ მოიყვანეს რუსები კავკასიაში? განა ქართველი დისიდენტები მოთათრე უფლისწულს — ალექსანდრე ბატონიშვილს არ უხოტბიდნენ და მისი სურათი მიტინგებზე გამოჰქონდათ ხატების გვერდით? მაშინდელი მოთათრეობა (სპარსული ორიენტაცია) ახლა ქართველთა წინაპრების მედასავლეთეობის დასტურად მიჩნიათ და პირზე დაიკერეს სიტყვა „რუსეთუმე“.

მერაბ კოსტავას დროინდელი ეროვნული მოძრაობის ცდომილება ის იყო, რომ ილიას იდეალიზება ხდებოდა და ამავე დროს ამოსავლად სახავდნენ მენშევიკთა საქმიანობას. ილიას აქებ და ილიას მტერ მენშევიკებს ეყრდნობი? როგორღა ლაპარაკობ ილიას გზის ერთგულებაზე? როგორ შეარიგე ეს ორი ანტაგონისტი? კოსტავას დროს გამუდმებით მიუთითებდნენ XIX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაზე. ხდებოდა მისი იდეალიზაცია. ესეც სიყალბე იყო. XIX საუკუნის 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა იყო დაშლილი, გეზდაკარგული და უმიზნო. ასე შევიდა ის XX საუკუნეში. თერგდალეულთა მაგიერ მოვიდნენ რევოლუციონერი მარქსისტები. XX საუკუნის დამდეგისათვის ეროვნული მოძრაობა (ა. ჯორჯაძე, ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე და სხვ.) იყო დაშლილი, კრიზისული და იდეურად დეზორიენტირებული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნულ ბრძოლას თუ რაიმე შედეგი ჰქონდა, ისევ ცარისტული ზედამხედველობის ძალი თ. რუსი რომ არ ყოფილიყო ქართველთა თავზე მდგომელი, თერგდალეულთა საქმიანობას შედეგი არ ექნებოდა. ცარიზმი ევროპული განმანათლებლობის ადგილობრივ გამოვლენებს ხელს უწყობდა და ცენზურის ქვეშაც აქცევდა.

მენშევიკები არ ისახავდნენ მიზნად, რომ საქართველო ბრიტანეთის იმპერიის ნაწილი გამხდარიყო და მოეპოვებინა დამოუკიდებლობის რაღაც ხარისხი ბრიტანეთთან ინტეგრირებით. ნოე ჟორდანია იყო პირველი მტერი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეს საგულდაგულოდ დამალეს ქართველმა დისიდენტებმა. ნოე ჟორდანია იყო პარტიული დიქტატორი. სადღეისოდ ისიც კი ითქვა, რომ ჟორდანიას დრო იყო საქართველოს ოქროს ხანა. ნოემ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ერთ თვეში (1918 წლის 23 ივნისი) დაამხო ნოე რამიშვილი, რომელიც იყო მაშინდელი საქართველოს პირველი პირი. რამიშვილი სამოქალაქო ომის შიშით გადადგა. ჟორდანია ტრიბუნალის წესით დასახვრეტი იყო 1920 წლის მაისში. მან შეამზადა საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია. ჟორდანიასეული გადატრიალების მომწყობი წითელი გვარდია ვალიკო ჯუღელის მეთაურობით ბოლშევიკების შემოსვლის დროს დაიფანტა და ბრძოლის ველზე არ გავიდა.

ვთქვათ, ქართველ ხალხს მედგარი წინააღმდეგობა გაეწია და ბოლშევიკური არმია საქართველოში არ შემოეშვა. ბრიტანელების კოლონიური ხელისუფლება საქართველოში შენარჩუნდებოდა 1950-იან წლებამდე, როდესაც მსოფლიოში დაიწყო დეკოლონიზაციის ახალი ტალღა, ან უფრო გვიანდელ დრომდე. წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა ქართული ანტიკოლონიალისტური დისიდენტურა. ის იქნებოდა მარქსისტი და საბჭოთა რუსეთისაკენ დაიწყებდა გახედვას. პრესაში დასცინებდნენ ყოველივე ბრიტანულს. დაიწყებოდა ქილიკი ლონდონში მოწვეულ საიმპერიო კონფერენციებზე. საიმპერიო კონფერენციების (1902, 1907, 1909, 1911 და სხვ.) მიზანი იყო ბრიტანეთის იმპერიის განმტკიცება. ამ კონფერენციებმა ბრიტანეთის იმპერიის უმაღლესი ორგანოს



სტატუსი მიიღო 1907 წლიდან. ეს იყო როგორც კომპარტიის საკავშირო ყრილობა საბჭოთა იმპერიაში. როგორც რუსეთი იყო უფროსი ძმა, ასევე ბრიტანეთი იყო უფროსი ძმა თავის იმპერიაში და მას ეწოდებოდა „პირველი თანასწორთა შორის“. ქართველი დისიდენტები დასცინებდნენ ინდოეთის ვიცე-მეფის (ვიცეროყ) პოსტს, როგორც მეფისნაცვლის (რუსეთის მეფის წარმომადგენელი საქართველოში) პოსტს აქილიკებდნენ რევოლუციონერი ქართველები. ასევე დასცინებდნენ ბრიტანეთის იმპერიის კოლონიების მინისტრებს. რაც ვერეცინე იყო, იმაზეც გაიცინებდნენ ქართველნი. საქართველო რომ ინგლისის კოლონია ყოფილიყო 1920–45 წლებში, მაშინ აფრიკისა და შორეული კუნძულების ველები აივსებოდა ქართველ გადასახლებულთა ძვლებით.

ვთქვათ, გაეძლო ბაგრატიონების ტახტს 1950-იან წლებამდე. ანტიკოლონიალისტი ქართველი დისიდენტები მის დამხობას შეეცდებოდნენ. ანტიკოლონიალისტური მოძრაობის დროს მეფეები დაამხეს არაბულ ქვეყნებში, ირანში და საქართველოშიც ასე იქნებოდა. დღეს ადვილია ლაპარაკი, რომ „რუსებმა მეფის ტახტი გაგვიუქმეს“. პოლიტიკური არგუმენტების არქონა იფარება პრომონარქისტული სპეკულაციებით. სიყალბეა, როდესაც მეფეებს წლობით მისტირიან ქართულ პრესაში. ბაგრატიონთა ტახტის გაუქმებით რუსებმა ქართველთა გასაკეთები საქმე გააკეთეს, ოღონდ ეს მათ ძალზე ადრე გამოუვიდათ.

წესად არს, რომ ცთომას მოყვასისას ნუ ეცინი. უკუღმართი ზნის გამო ქართველს ეხარება, რომ იყოს მუდამ შეცთომილი და ბითურად მყოფი. ის კიდევ სხვებს დასცინის. სხვათა კილვაზედ მოხარულნი მთელი ცხოვრება ღობე-ყორეს ედებიან და ინფანტილურად იმეორებენ პოლიტიკურ ფრაზებს. ვის სად უყიალნია, რამდენ პარტიაში შესულა და გამოსულა. ორი ქართველი ნიშნავს ოთხ-ხუთ პარტიას. რას ყაბულობენ და რას დაიარავებენ, არ გაიგება. არაის ყადრი და ყამი არ იციან და სულ სხვებს ეყაშმიერებიან. თაობები სიცრუესა და სიბილწეში ცმაცურობენ. კიდევ რაიმე დარჩა, რომ ქართველმა არ მოიტყუოს? გულისმიერი არაფერია საქართველოში და არც მეღვაწლენი ჩანან. რომ არ შეიმურდლოს ყველა საქვეყნო საქმე, აგრე ხომ არ იქნება საქართველოში! ეროვნულ მოძრაობას ივერიაში ყავლი გაუვიდა. ამ საუკუნის დამდეგს ბევრგან ეკიდა მერაბ კოსტავას სურათები. ყველგან ჩამოხსნეს ისინი, რადგან გროტესკული უაზრობაა ამ სურათების არსებობა კაპიტალისტურ საქართველოში. 20 წელზე მეტი ევროპაში ყარიბობდნენ ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები. ჩამოვიდნენ და რანიც იყვნენ, იგივენი დარჩნენ. არა უსწავლიათ რა. ისევ ის ყურუმსაღული ლაპარაკი და თავმომწონეობა. ისევ ის მორალისტური მალაყები.

დაპორჭყნა განგებამ ივერია და სწორია უფლის მსჯავრი. მღვდელმთავარნი უფალს ავედრებდნენ სრულიად საქართველოს და ის დაიშალა. დიკირ-ტრიკირით ნაკურთხი ეროვნული მოძრაობა თავად ეკლესიამ უარყო 1991 წლის ბოლოსვე. ზენაის წყრომისა და ღმრთის რისხვის შემდეგაც ისევ მრუდია საქართველო. ქართველ ისტორიკოსებს უთქვამთ, რომ ეროვნული მოძრაობა საქართველოში ათასწლოვანი და მუდმივი იყო. განახლებაზეც ბევრჯერ თქმულა. რა დაძველდა, რომ განახლდეს? არც არაფერი ძველი ყოფილა და რა უნდა განახლდეს? ამდენი ეროვნული პარტიის შემდეგ რაიმე ეროვნული დარჩა ქართველ ხალხში? თუ ფიქრობს ქართველი ხალხი ეროვნულ მოძრაობაზე? 1989 წლიდან ასიათასობით ქართველს თავისი სულიერი მოძღვარი ჰყავს. სადმე ჩანს ან მოძღვართა ნამოძღვრალი, ან დამოძღვრილთა ქრისტიანობა?

ის ხალხი, ვინც თავის დროზე შედიოდა ირინა სარიშვილის, ვახტანგ რჩეულიშვილის, დავით გამყრელიძის, ლევან გაჩეჩილაძის, ირაკლი ოქრუაშვილის, შალვა ნათელაშვილის. სალომე ზურაბიშვილის, გია მაისაშვილის, გუბაზ სანიკიძის და სხვათა პარტიებში, რისი სჯეროდათ, რა იდეურ პლატფორმაზე იდგნენ? ახლა რას ფიქრობენ?

რა ტრადიციაზე საუბრობენ ამა თუ იმ პარტიის მესაკუთრენი? პარტიას რომ პოლიტიკური ტრადიცია გააჩნდეს, 30 წელი მაინც უნდა არსებობდეს. სააკაშვილის ზეობა ხატების ამბორით დაიწყო და ხალხის დევნითა და წამებით დამთავრდა. ამაზე უარესი ის იყო, რომ ოპოზიცია მხოლოდ პარლამენტში მოხვედრის მიზნით ამხელდა სააკაშვილს. ოპოზიცია არაფრით მეტი არ იყო სააკაშვილზე. შევარდნაძის დროს ბიზნესმენობდნენ და მისი წყალობით მილიონერები გახდნენ. იგივე ხალხმა სააკაშვილის დროს ერისკაცობა და ეროვნულობა დაიწყო. სააკაშვილთან ტყუოდა ირაკლი ოქრუაშვილი, ტყუოდა ლევან გაჩეჩილაძე, ტყუოდა დავით გამყრელიძე, ტყუოდა ნინო ბურჯანაძე. რა და როგორ არ თქვეს ოპოზიციონერებმა პოლიციის მიერ დახოცილ ახალგაზრდებზე სახალხო პროტესტის ასაგორებლად და არაფერი გამოვიდა. ოპოზიციის ამყოლი ხალხი რუსთაველის გამზირზე გავიდა და გალიებში ჩასხდა. ეს იყო ქართული პოლიტიკური სახიობის კიდევ ერთი ნიმუში. რას არ იკვეხნიდა ოპოზიცია, რომ სააკაშვილის მთავრობას გაწყვეტილს მოუწყობდა, კეტებით დაერეოდა და ა.შ. ხატების ქოხი დადგეს პარლამენტის წინ. სანთელი რაღა იყო და კელაპტრებიც ანთეს. ფეისბუკში რას არ ქადილობდნენ, ენით მრუშობდნენ. ეროვნული მოძრაობის გაგრძელებაზეც ყასიდად ითქვა. პატრიარქის კურთხევით დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“. ის ვერ განაახლებს ეროვნულ მოძრაობას. პოლიტიკოსობა საქართველოში არის დისიმულაციის (სიგიჟის დამალვა) ყველაზე გავრცელებული სახე. ქართული სოცქსელი და ტელევიზია იწვევს სოპორს (ცნობიერების მოშლა) და დემენციას (ჭკუანაკლულობა).



არ მოშორდა ქართველობას იესე ფალავანდიშვილის თარსი. იესე ფალავანდიშვილი 1832 წლის შეთქმულების მეთაური იყო. მან ჯერ თავადები შემოიკრიბა ასაჯანყებლად და შემდეგ დაასმინა შეთქმულნი რუსთ ხელმწიფის მოხელესთან აჯანყების დაწყებამდე. 1924 წლის აჯანყებაც ჩაიფუშა, რადგან ბევრი დანიშნულ ადგილზე არ მივიდა, ბევრი დათქმულ დროს ასცდა. უცხოეთს გაქცეული ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ვალიკო ჯუღელი აქ დარჩენილთ ატყუებდნენ თავისი ჩამოსვლითა და ცრუ მხარდაჭერით. მოტყუებული ხალხი ათასობით ხვრიტეს ბოლშევიკებმა. ეს ფაქტი კი ლიბერალებმა პოლიტიკური სპეკულაციისთვის გამოიყენეს. თუ გული გულობდა, 1924 წელს დახვრეტილი 12 ათასი კაციდან 5 ათასი რომ მაინც გასულიყო ბრძოლის ველზე 1921 წლის თებერვალში, ბოლშევიკური არმია საქართველოში ვერ შემოვიდოდა. მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გამოიყენა ბრიტანელთა მხარდაჭერა, ყური არ ათხოვა მათ რჩევებს და ქვეყანა მარქსისტული იდეოლოგიის დოგმებს გადააყოლა. მენშევიკებმა თავისი პოლიტიკით გზა გაუხსნეს ბოლშევიკურ ოკუპაციას. სერგო ორჯონიკიძისა და იოსებ სტალინის გმობამდე ნოე ჟორდანიას საგმობი სიტყვა უნდა ითქმოდეს.

თარსი და უიღბლობა ქართ-



ველთა თაობებს თან სდევს. 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები და საარჩევნო კანონი პრეფერენციების ყოვლად გაუმართლებელი სისტემით პარლამენტში მოხვედრის შესაძლებლობას აძლევდა ყველას. პარლამენტში მოხვდა ათობით ეროვნული პოლიტიკოსი და ანტისაბჭოელი დისიდენტი. ქვეყანას ამით ხეირი არ უნახავს. იყო ბევრი ყვირილი, ფრაზიორობა და თავმომწონეობა.

1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა 40 პარტია და 13 საარჩევნო ბლოკი. ვერვინ გაუწია კონკურენცია შევარდნაძის პარტიას. არავის არ ჰქონდა სახალხო ავტორიტეტი. ოპოზიციის მიერ შევარდნაძის მხილება იყო ჯამბაზობა და მეტი არაფერი. შევარდნაძემ ამ არჩევნების შემდეგ საორშაბათო ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი ვერ დაეთანხმება აზრს ეროვნული მოძრაობის დამთავრებაზე. მან თქვა, რომ „ეროვნული მოძრაობა გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება“. 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ისევ შევარდნაძე ზეობდა. ამერიკელთა ჩარევის გარეშე შევარდნაძის გადამყენებელი აქ არავინ იყო. სააკაშვილის მოსვლა 2003 წლის ნოემბრის მიწურულს წარმოჩენილ იქნა როგორც ეროვნული მოძრაობის გაგრძელება. სააკაშვილის გადამყენებელიც არავინ იყო ამერიკელთა ჩარევისა და ბიძინა ივანიშვილის ორგანიზებული წინააღმდეგობის გარეშე. ეს ოპოზიციური პარტიები თავისი თეატრალიზებული მიტინგებით მხოლოდ აბრიყვებდნენ ხალხს. რა არ ითქვა და დაიწერა სააკაშვილის სამხილებლად მხოლოდ 2004–2007 წლებში და ხალხი რომ ხალხობდეს, სააკაშვილი 2012 წლის სექტემბრის ბოლომდე გაძლებდა?

თუ ეროვნული მოძრაობის არსი ის იყო, რომ ამდენი უაზრო მსხვერპლის, წაგებული ომების შემდეგ საქართველომ ძველი ბატონი უარყო ახალი ბატონის სასარგებლოდ, მაშინ რა აზრი ჰქონდა ამ მერჯულეობასა და პატრიოტულ რიგორიზმს? ეს არის ილიას გზა? თუ ეს არაა ილიას გზა, მაშინ რა გზაზე შეიძლება მსჯელობა? ყოველი ახალი ხელისუფლება ეროვნული მოძრაობის განახლების ილუზიას ქმნის. თავად ეროვნული მოძრაობა კი უარყოფილია.

შავი ფიქრები მეძალება საქართველოს მერმისზე. ვხედავ, რომ უცხოელის თავზე დგომისა და მუდმივი ზედამხედველობის გარეშე საქართველოში შფოთისა და არეულობის გარდა არა არის რა მოსალოდნელი. მძიმეა განგების ხელი საქართველოზე.

**1–2 მაისი, 2017 წ.**

**(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)**

# მიხეილ დაღმაშენებლის გალობანი სინანულისანი



გასულ კვირას ისევ იჯამბაზა ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა, მიხეილ სააკაშვილმა – არც აცია, არც აცხელა, ყველასთვის მოულოდნელად ყველა მკვდარი კატა თავის ყოფილ „პადელნიკს“, გიგა ბოკერიას ჩამოჰკიდა კისერზე: რას ლაპარაკობთო, მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი, პრეზიდენტობისას ხელს გიგა ბოკერია მიშლიდა, თორემ 600 ეკლესია ხომ ავაშენე, უფრო მეტს ავაშენებდიო:



ამაზე ქვეყანაში ატყდა ერთი ამბავი, დაიწერა სტატიები, მომზადდა ტელეგადაცემები, სოციალურ ქსელებში გამოითქვა „ღრმააზროვანი“ მოსაზრებები. ზოგმა თქვა, მიხეილ სააკაშვილი აიძულეს, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე განეცხადებინაო, ეგ კი არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, მაგრამ ბოკერია, უგულავა და მისთანანი ებრძოდნენ დედა ეკლესიასო. ზოგი ამტკიცებს, ეს სააკაშვილის მორიგი ხრიკია, საარჩევნოდ მორწმუნეთა მასების გადაბირებას ცდილობსო. ერთნი იმასაც ამბობენ, საერთოდ არ გვჯერა ბოკერია-სააკაშვილის დაპირისპირებისა, ეს წინასაარჩევნო ფარსიაო, კრიტიკულ მომენტში ისევ გაერთიანდებიანო. მოკლედ, საქართველოში იმდენივე მოსაზრებაა, რამდენი თავიც არსებობს. სინამდვილეში კი რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე? ალბათ ისევ იმასთან, რასთანაც გვქონდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ და მეორე ტურში. მოდით, გავიხსენოთ: პირველი ტურის წინ ამათ, ამ „ნაციონალებმა“ და ვითომ „ევროპელმა საქართველოელებმა“ ერთმანეთს ყველაფერი აკადრეს, რის კადრებაც შეიძლებოდა – გაფუყულმა გიგი უგულავამ სააკაშვილს ჯართიც კი უწოდა. ხალხის თვალში ესენი ერთმანეთს დაეუმძრახნენ, გეგონება დანა-სისხლად გადაეკიდნენ. მერე საქმეში ევროპის სახალხო პარტია ჩარიეს, ბელგიაში ჩავიდნენ, მემორანდუმი გააფორმეს, ლანძღვა-თათხვაზე მემორანდუმი გამოაცხადეს... ცოტა ხნის შემდეგ ვითომ ეს მორატორიუმიც დაარღვიეს, მაგრამ როგორც კი იყნოსეს, არიქა, შეიძლება ხელი მეორე ტურს გამოვკრათ და იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, გრიგოლი გავაპრეზიდენტოთო, უგულავა და მისთანანი ეგრევე ეწვივნენ სააკაშვილს და ჩაეხუტნენ. ხოლო სააკაშვილმა თავის მხრივ განაცხადა, ჩვენ ყოველთვის ერთნი ვიყავით, ვართ და მომავალშიც ვიქნებითო.



„ევროპული საქართველოს“ ე.წ ლიდერი დავით ბაქრაძეც სულ სხვანაირად ალაპარაკდა, გრიგოლ ვაშაძეს გაუგორდა ფეხებში და მისსავე ტონში დაიწყო სალომე ზურაბიშვილის ლანძღვა. ბოლოს, როდესაც ვერ მიაღწიეს ერთობლივ საწადელს, ისევ „გაცივდნენ“ ერთმანეთის მიმართ და აჰა, ისევ მიდიან მეორე წრეზე – ვითომ გაიყარნენ. გაყრას, რასაკვირველია, სჭირდებოდა მიზეზი და მოიგონა კიდევაც სააკაშვილმა თემა, ამჯერად წავიდა რელიგიურ სფეროში ბოკერიაზე გადავლით. ოღონდ ამ ვირეშმაკას ისევ დაავიწყდა, რომ ახლა სხვა დროა, ახლა სხვანაირი, უფრო განვითარებული პერიოდია ინფორმაციული ტექნოლოგიების თვალსაზრისით – ახლა ძალიან იოლია წარსულის გახსენება (ისედაც არ გვავიწყდება). ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ სააკაშვილიც, ბოკერიაც, უგულავაც და სხვანიც ნაგვის ერთ ბუნკერს წარმოადგენენ? ვინ, ვინ და სწორედ სააკაშვილი არ იყო ის ჩიტი, რომელიც ბოკერიას გავლენის ქვეშ მოექცეოდა, ან უგულავას დაკრულზე გაივლიდა. არ დაგავიწყდეთ, ეს ის სააკაშვილია, რომელიც თავის ხელქვეითებს თავში საფერფლეებს ურტყამდა, ხოლო უკანალში – პანჩურებს.

კი, ბატონო, შეიძლება დადგეს დრო, ერთხელ სატანამაც კი შეიცვალოს მრწამსი და თქვას, ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი გახლავართო, გამორიცხული არაფერია, მაგრამ რა საჭიროა ისეთი ტყუილი, რასაც არავინ დაგიჯერებს და საშაყიროდ გაგიგდებენ? სააკაშვილი უნამუსოდ ტყუის, 600 ეკლესია ავაშენეო, მათ შორის ბაგრატის ტაძარიო. კიდევ კარგი, არ თქვა, სამებაც ჩემი აშენებულია, ამ ფაქტს იმად ვმალავდი, რომ შემეშინდა, ჩემთვის ხელი არ მოეჭრათ, რატომ კარგი აგიგიაო. თუმცა მე პირადად დარწმუნებული ვარ, მაგასაც მალე იტყვის. და მაინც... რატომ 600 ეკლესია? იმიტომ, რომ ზუსტად ამდენ ეკლესია-მონასტერს ჩაუტარა ბიძინა ივანიშვილმა რესტავრაცია და ახლა ეს ვირეშმაკა ცდილობს, გაკეთებული საქმე მიითვისოს.



კიდევ ერთი დიდი ზღაპარი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა გამოიგონა:

„უახლოეს თვეებში მე ვაპირებ, ჩამოვიდე საქართველოში. არაფერი საიდუმლო არ არის. მართალია, უკრაინაში კარგად ვგრძნობ თავს, მაგრამ როცა სამშობლოს კარგავ... ახლა ოდესაში ვიმყოფები და ყოველ მეორე ადამიანს, რომელსაც ქუჩაში ვხვდები, მეხვეწებიან მერობაზე. მე აქ გამოკითხვებში ვლიდერობ, ხალხი მეხვეწება, მთავაზობს, მაგრამ ეს არის ერთი თემა. საქართველოში ვიდრე არ აღვადგენთ ქართულ სახელმწიფოებრიობას, სანამ არ გავაჩერებთ საქართველოს დანგრევის და განადგურების პროცესს, რა თქმა უნდა, ამაში მე ვიღებ მონაწილეობას, უახლოეს თვეებში ვაპირებ ჩამოსვლას საქართველოში“.

კითხვაზე, საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში ციხეში აპირებს წასვლას თუ საღორიის ტყეში გავარდება აბრაგად, სააკაშვილმა უპასუხა:

„ეს ხალხის გადასაწყვეტია, ივანიშვილს მისცემს თუ არა ამის საშუალებას. მე ქართველ ხალხთან ერთად დავასრულებ საქართველოში ივანიშვილის მმართველობას. გავწიოთ გვერდზე პოლიტიკოსები. მე პოლიტიკოსი არ ვარ, მე ვარ ქართული სახელმწიფოებრიობის შემქმნელი. მე ვარ პატრიოტი. არ შემშინებია უკრაინაში ჩამოსვლის და არ შემეშინდება საქართველოში ჩემს ხალხთან ჩამოსვლის. ახლა ისინი დგანან ჩვენს შიშებზე და საერთოდ ვერ გაუწევენ წინააღმდეგობას ქართველ ხალხს“.

აჰა, ხვდებით, რაშია საქმე? პირველი – მიხო აღარ არის პოლიტიკოსი, ის არის ქართული სახელმწიფოებრიობის შემქმნელი, პატრიოტი, ანუ დავით აღმაშენებელი. მეორე – ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება დგას სააკაშვილისა და ხალხის შიშებზე (ალოგიკური აზროვნების საუკეთესო მაგალითი). რას ჰქვია, შიშებზე? ალბათ უნდა ეთქვა, ივანიშვილს ჩვენი ეშინიაო. მესამე – თუ დაუკვირდებით, მიხო ყოველ საარჩევნო კამპანიას იწყებს დაპირებით და მუქარით, რომ ის აუცილებლად ჩამოვა საქართველოში, ასე გრძელდება ბოლო 6 წლის განმავლობაში, მაგრამ ვერა, ვერ რისკავს და ვერც ვერასოდეს გარისკავს, რევოლუცია არ გამოსდის, ციხეში კიდევ ვერ ჩაჯდება, პათოლოგიური შიში აქვს.

მეო, ქართული სახელმწიფოებრიობის შემქმნელი პატრიოტი გახლავართო. ვაი, შენს პატრონს, მიხეილ, მაგ მახინჯ სახელმწიფოებრიობას რომ ქმნიდი და ახალგაზრდებს ქუჩებში ცხრილავდი, იარაღს ვისი ფულით ყიდულობდი, პოლიციას ვისი ფულით აჭმევდი და აცმევდი, ჯარს ვისი ფულით ინახავდი, გზებს ვისი ფულით აგებდი (რომელიც ისევ ასაყრელია და ხელახლაა გასაკეთებელი), გარეულთა თუ შინაურთა თვალის ასახვევად ფასადებს ვისი ფულით ღებავდი? დიახ, ბიძინა ივანიშვილის ფულით და შენ წარმოიდგინე, შე ჩათლახო მაიმუნო, დასაწყისში, რამდენიმე წლის განმავლობაში ხელფასებსაც კი ეს კაცი გიხდიდათ, თან გეხვეწებოდათ, ოღონდ არ მოიპაროთ, კიდევ მოგცემთო. ამ დროს რა გააკეთეთ? მოიპარეთ კი არა, მთელ ქვეყანას გადაუარეთ, დააყაჩაღეთ, დედა მოუკალით, ნამუსი ახადეთ. როცა თავზე გადაიფსით და აღარაფრის გაგონება აღარ გინდოდათ, მოვიდა ეს კაცი და გითხრათ, გეყოფათ, ახლა დაახვიეთო. თან დაგინდოთ, ბოლომდე არ გაგწირათ, თქვენს მომხრეებს არ დაერია, იმდენად გადაჭარბებული დემოკრატია დაამკვიდრა, თავისი მომხრეების ნაწილიც კი გაანაწყენა. ვინაიდან თავები არ წაგაცალათ (შენებურად), ახლა ისევ გამოძვერით სოროებიდან და იძახით, სამშობლოს გვართმევენო. რომელ სამშობლოს გართმევენ, თქვე ვირთხებო, რომელიც არასოდეს გქონიათ?!

ჰმ... უკრაინაში მერობაზე მეხვეწებიანო, ყველა გამოკითხვაში ვლიდერობო. ნეტა ეგ რომელი გამოკითხვაა, სააკაშვილი სიზმარში რომ ნახულობს ხოლმე? მერობაზე კი არ ეხვეწებიან, უკრაინის ახალ პრეზიდენტს „ნამიოკს“ აწვდის, მერობა მინდაო, თუნდაც კიევის, თუნდაც ოდესისაო. ზელენსკი სააკაშვილს ძაღლადაც არ აგდებს, მოქალაქეობა მიაშავა და მორჩა, ეს მაინც არ ისვენებს, ალბათ ცოტა ხანში დაიწყებს ამბოხს, რევოლუციების მცდელობას და იქიდანაც საბოლოოდ „დააპაშოლებენ“ სიდედრიანებში.

**გელა ზედელაშვილი**

555 48 48 61

# დონალდ ტრამპის წინააღმდეგ შეტევა გრძელდება

პოლიტიკური ვითარება, როგორიც დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია, ბოლოს როდის იყო, ძნელი გასახსენებელია. შეტევის ობიექტი ქვეყნის პრეზიდენტი დონალდ ტრამპია. უცნაური ფაქტია, მის წინააღდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ოპონენტები ყველანაირ ხერხს მიმართავენ, მათ შორის გამოგონილ, აბსურდულ ბრალდებებსაც, რათა როგორმე გადააყენონ თანამდებობიდან. თუმცა, დონალდ ტრამპმა ჯერ კიდევ ბიზნესში მოღვაწეობისას დაამტკიცა, რომ ფარ-ხმალს იოლად არასოდეს დაყრის.

დემოკრატმა კონგრესმენებმა აიძულეს ტრამპი გადაედგა არაორდინალური ნაბიჯი — გამოაქვეყნებინეს უკრაინელ კოლეგასთან ზაფხულში გამართული სატელეფონო საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი. მათდა სამწუხაროდ, ჩანაწერში არაფერი იყო ისეთი მაკომპრომეტირებელი, რაც დემოკრატებს იმპიჩმენტისთვის გამოადგებოდათ. სკანდალის პირველი რაუნდი, ფაქტობრივად ტრამპმა მოიგო. ამას ექსპერტები აცხადებენ. დემოკრატი კონგრესმენების



იმპიჩმენტის დაწყების სურვილი დონალდ ტრამპმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა. პრეზიდენტს სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაიკ პომპეო დაეთანხმა. მისი თქმით „...დემოკრატების მხრიდან პრეზიდენტზე დევნა ფართო ფრონტით მიმდინარეობს, რასაც ჩემს გუნდთან ერთად არ დავუშვებთ“.

გასულ კვირას თეთრი სახლის ადმინისტრაციიდან კვლავ გაჟონა ინფორმაციამ, რომელმაც დონალდ ტრამპის მოწინააღმდეგეები ხელახლა აალაპარაკა. ანონიმი წყაროს ცნობით, ტრამპი ტელეფონით ესაუბრა ჩინეთის ლიდერს სი ძინპინს და სთხოვა ჯო ბაიდენის მაკომპრომინტებელი მასალების გამოქვეყნება. ჩინეთის მხარე ნეიტრალურ პოზიციაზეა, არ უნდათ აშშ-ის შინაურ დაპირისპირებაში ჩაერიონ. მათ საამისო მიზეზი აქვთ თუნდაც ორ ქვეყანას შორის მიმდინარე მწვავე სავაჭრო ომი. სავარაუდოდ, ჩინელები დაელოდებიან მოვლენების განვითარებას. ექსპერტები არ გამორიცხავენ, მათ აშშ-ის შიდა დაპირისპირება საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად გამოიყენონ.

დონალდ ტრამპმა ჯერ კიდევ ორი კვირის წინ უსაფრთხოების სამსახურს კატეგორიულად მოსთხოვა გამოეაშკარავებინათ მისი ადმინისტრაციიდან საიდუმლო ინფორმაციების გამავრცელებელი. თუმცა, მას შემდეგ კვლავ გაჟონა ცნობებმა, მათ შორის თეთრი სახლის დაცული სერვერიდან. ამან კიდევ უფრო განარისხა დონალდ ტრამპი. მან არათუ გამცემის გამოაშკარავება, მისი საჯაროდ ჩვენებაც მოითხოვა. „... მისმა გავრცელებულმა ცრუ ინფორმაციებმა ქვეყანაში ქაოსი გამოიწვია. მისი სახე ხალხმა უნდა იცოდეს, რადგან შპიონია. მინდა მას თვალებში შევხედო“ — განაცხადა ტრამპმა. სხვა ლიდერებთან სატელეფონო საუბრების სტენოგრაფიული ჩანაწერების გამოქვეყნებაზე კი სასტიკი უარი თქვა.

საინტერესოა, რომ ტრამპს მხარი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დაუჭირა. ამერიკელი ჟურნალისტის კითხვას, როგორ შეხვდებოდა ცნობას, მისი საუბარი გაესაჯაროებინათ, უპასუხა: „... ჯერ ერთი, წინა სამსახურებიდან ვიცი, ჩემი ნებისმიერი საუბარი შესაძლოა გამოქვეყნდეს, ამიტომ არასოდეს ისეთს არაფერს ვამბობ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდოს... თეთრი სახლის ადმინისტრაციას ჩვენ შევთავაზეთ გამოექვეყნებინათ ჰელსინკში ტრამპთან შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერი, საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. პრინციპული მოსაზრების გამო მათ არ გაასაჯაროეს. თუმცა გარწმუნებთ, ჩანაწერში პრეზიდენტ ტრამპის მაკომპრომიტებელს ვერაფერს ნახავთ“.

კომპრომატების ძიებას დემოკრატები კვლავ აგრძელებენ. ახლა მიზეზად მოიდეს უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენკოსთან საუბრის ჩანაწერი არასრულიაო.



მათი თქმით საუბარი მოისმინა და ჩაიწერა დაზვერვის ერთ-ერთმა ინკოგნიტო თანამშრომელმა. ექსპერტები ამ განცხადებას არასერიოზულად მიიჩნევენ. ამასობაში კი აშშ-ის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცრუ ცნობების შექმნას კონგრესის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარე ადამ შიფი ხელმძღვანელობდა. პრესის ინფორმაციით, ფაქტობრივად შიფი წერდა დაზვერვის თანამშრომლების მაგიერ სკანდალურ მასალებს. ამერიკული პრესა უფრო შორს წავიდა. გასულ კვირას კონგრესის სპიკერის ნენსი პელოსის შვილი პოლი და იგივე ადამ შიფი პირდაპირ დაადანაშაულეს უკრაინაში, კორუფციულ სქემებში მონაწილეობაში. პრესის ინფორმაციით მათი ურთიერთობა უკრაინელებთან 2013 წლის ბოლოდან ჰქონდათ. ტრამპის ადვოკატმა რუდი ჯულიანიმ პირდაპირ ეთერში ღიად დაადანაშაულა ჯო ბაიდენი კორუფციაში.

ნეიტრალური პოლიტოლოგების განცხადებით, დემოკრატებმა ფაქტობრივად თავად ჩაძირეს ჯო ბაიდენი. მათივე ვარაუდით ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი უკვე აღარ ითვლება დონალდ ტრამპის უპირობო კონკურენტად, რადგან აგორებულმა სკანდალებმა საკმაოდ შელახა მისი რეპუტაცია. ყოველივე ამას დაემატა უკრაინის პროკურატურის განცხადება, რომლის მიხედვით უმცროსი ბაიდენი ხანტერი შესაძლოა 15 სისხლის სამართლის სხვადასხვა საქმეებში იყოს ბრალდებული თუ არა მონაწილე მაინც. დამტკიცების შემთხვევაში ტრამპი არა მხოლოდ ბაიდენზე, საერთოდ დემოკრატიულ პარტიაზე გაიმარჯვებს.

ამასობაში დონალდ ტრამპი თავად გადავიდა შეტევაზე. ორი დღის წინ მან კონგრესის სპიკერი ნენსი პელოსი სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა და მისი იმპიჩმენტის დაწყება მოითხოვა. ტრამპის განცხადებით პელოსიმ იცოდა, რომ შიფი თავად თხზავდა ცრუ ინფორმაციებს და ავრცელებდა, სპიკერი კი მხარს უჭერდა. პოლიტიკოსების განცხადებით, სახელმწიფო მეთაურების ჩანაწერების გამოქვეყნების პრეცენდენტმა შესაძლოა მსოფლიოს დიპლომატია დაანგრიოს.

სკანდალების ფონზე დონალდ ტრამპი არც ქვეყნის ეკონომიკის ივიწყებს. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ აშშ ევროკავშირის ქვეყნებს 18 ოქტომბრიდან გაუზარდოს საბაჟო გადასახადების ბეგარას 25%-ით. საინტერესოა, რომ ინიცატივა კანონიერად სცნო და დაეთანხა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ. ექსპერტებმა ორგანიზაციის თანხმობა ტრამპის მუქარას (შესაძლოა დავტოვოთ ეს ორგანიზაციაო) მიაწერეს. მათივე პროგნოზით, ძირითადი დარტყმა ევროპის აგრარულ სექტორს მიადგება. ინფორმაციის გავრცელების შემდეგ კიდევ ერთი საყურადღებო განცხადება გააკეთა ტრამპმა. კითხვაზე აგორებული სკანდალის შემდეგ აშშ კვლავ გააგრძელებს თუ არა უკრაინისთვის დახმარებას, უპასუხა: „... უკრაინა ევროკავშირთან უფრო ახლოს მდებარეობს ვიდრე ჩვენთან, ამიტომ კეთილი ინებონ და ისინი დაეხმარნენო“. საინტერესოა, რომ ტარიფების გაზრდის ცნობა ფინეთის პრეზიდენტის საულო ნიისოს ვიზიტს დაემთხვა. ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სკანდინავიელ სტუმარს უკმაყოფილება აშკარად ეტყობოდა, რომლის დამალვა არც უცდია.

ჩრდილოეთ კორეამ გასულ კვირას კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. შვეციაში გაიმართა აშშ-ჩრდილო კორეის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. თუმცა, სხდომა წესიერად დაწყებული არ იყო, როდესაც კორეელებმა მიატოვეს შეხვედრა. მათი განცხადებით აშშ-ის მხარე ფქტობრივად ხელცარიელები იყვენ ჩასულები და კორეელთა ინტერესები არსად იყო დაფიქსირებული. რა გაგრძელება მოჰყვება კორეელთა დემარშს ძნელი სათქმელია.

გასულ კვირას რუსეთმა ახალი ინიციატივა გააჟღერა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინა აშშ-დან ევროპის რომელიმე ქვეყანაში გადაიტანონ. ამის მიზეზი გაეროს გენასამბლეაზე დასასწრებად აშშ-ს საელჩოს რუსეთის 10 პოლიტიკოსისთვის ვიზების არგაცემა გახდა. ამის შესახებ ორი ქვეყნის პირველმა დიპლომატებმა მაიკ პომპეომ და სერგეი ლავროვმა ჯერ კიდევ ნიუ-იორკში გენასამბლეაზე ისაუბრეს. პომპეოს თქმით სახელმწიფო დეპარტამენტი ამ საქმეში არაფერ შუაშია, დაბალი რანგის დიპლომატებმა დუშვეს შეცდომაო. შეიცვლის თუ არა მისამართს გაერო მომავალში გამოჩნდება. პოლიტოლოგებს ნაკლებად სჯერათ, რომ გაერო აშშ-დან ევროპაში გადაინაცვლებს.

ეკონომიკურ პრობლემებს უკრაინაში პოლიტიკურიც დაემატა, განხეთქილება დონბასის რეგიონში „შტაინმაიერის ფორმულა“ გახდა. რადიკალური ოპოზიციის აზრით ამ ფორმულის ამოქმედებით უკრაინის მთლიანობას ექმნება საფრთხე. მიმომხილველები არ გამორიცხავენ ახალი „მაიდნის“ დაწყებას. თუმცა, იმასაც ამბობენ მოსახლეობა მხარს ნაკლებად დაუჭერს, რადგან მობეზრდათ რევოლუციები. სამყაროში კი ისე ელვისებურად იცვლება პოლიტიკური სიტუაცია, ყველაფერია მოსალოდნელი.



**გია ბურდული**
551 71 27 07

# ვინ დაიცავს ირაკლი როგავას და მის ოჯახს მოძალადეებისგან?

*ახლახან ზუგდიდში ვიყავი. თბილისიდან მომავალი ჩვენი „მარშუტკა“ სადღაც უცნობ ტერიტორიაზე შევიდა.*

*— რა ხდება-მეთქი, — ვკითხე მძღოლს.*

*— ძველი რა უყავით?*

*— ძველი არის თავის ადგილზე, მაგრამ ჩვენ ახლა აქ შემОოვდივართ. ასეტია მითითება, — მითხრა მძღოლმა და წავიდა.*

*როგორც გავარკვიე, ახალი ავტოსადგური შპს „ავტოსტარ+“ ეკუთვნის..*

*ავტოსადგურიო, ვამბობთ, თორემ ეს ტერიტორია ავტოსადგურს ნამდვილად არ ჰგავს. ავტობუსები და მიკროავტობუსები ბენზინგასამართი სადგურის სიახლოვეს ჩერდებიან. არაა დაცული უსაფრთხოების ზომები, მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი საერთოდ არ არსებობს, წვიმასა და ქარში მგზავრებს, ფაქტობრივად, ხის ძირას დგომა უწევთ.*

*როგორ და რატომ გაჩნდა „ავტოსტარ+“, ნაწვიმარზე აღმოცენებულ სოკოსავით და ვინ და რატომ ჩაანაცვლა იგი ზუგდიდის კეთილმოწყობილი და კომფორტული ცენტრალური ავტოსადგურის სიახლოვეს?*

*ბევრი ძებნის შემდეგ შპს „ავტოტრანსის“ ხელმძღვანელს ირაკლი როგავას მივაკვლიეთ, რომელმაც ასეთი რამ გვიამბო:*



**ირაკლი როგავა:** „2017 წელს ზუგდიდის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ შენობა და ტერიტორია იჯარით ავიღე, რკინიგზის დეპარტამენტის თანხმობით. მაშინ უკვე მქონდა დაფუძნებული შპს „ავტოტრანსი“. ტერიტორია ნაგვით იყო სავსე. ორი დიდი სატვირთოთი ნაგავი გავიტანე იქედან. ტერიტორიის



და შენობის წესრიგში მოსაყვანად, ჩემი პირადი თანხა, 50 000 ლარი დავხარჯე, მინდოდა ისეთი ავტოსადგური გამეკეთებინა ზუგდიდში, როგორიც საქართველოში არსად არ იქნებოდა და, შემიძლია ვთქვა, მართლაც კეთილმოწყობილი ობიექტი შევქმენი. უბილეთოდ ერთ მგზავრსაც არ ვუშვებდით. შპს ექვს თვეში დღგ-ს გადამხდელი გახდა, რაც უპრეცედენტოა დღევანდელ ქართულ სინამდვილეში. თამამად ვიტყვი, არსად არ არის ისეთი მოწესრიგებული და პატიოსანი საქმიანობა, როგორიც იყო ჩემთან, „ავტოტრანსში“.

გარკვეული ხნის შემდეგ შპს-ს უფროსი დისპეტჩერი სამსახურიდან გავათავისუფლე, რადგან ის ითხოვდა: სამსახურში არ ვივლი, ხელფასი ისე დამინიშნეთო. ამ ამბიდან, დაახლოებით, 10 დღის შემდეგ 23 თებერვალს, მივედით სამსახურში და იქ არავინ დაგვხვდა. როგორც გაირკვა, მამა-შვილს, ოთარ და თემურ ბულიებს, შპს „ავტოსტარ+“-ის ამჟამინდელ ხელმძღვანელებს, მძღოლები თავიანთ შპს-ში გადაუყვანიათ იქვე გვერდით, მერიის კუთვნილ ტერიტორიაზე. სანამ ხეები არ მოჭრეს, ასფალტი არ დააგეს და იქაურობა, ასე თუ ისე, არ მოაწესრიგეს, მანამდე ქუჩაში იდგა ხალხი და ასე მიმდინარეობდა მგზავრების გადაყვანა. მოკლედ, განუკითხაობა იყო, სანამ მერიის ტერიტორია, რომელზეც უკანონოდ საქმიანობდნენ კარგა ხანს, იჯარით არ აიღო „ავტოსტარ+“მა, ორგანიზაციას არ დაემსგავსნენ გარეგნულად, თორემ სიღრმისეულად რაც ხდება „ავტოსტარ+“-ში, მე რომ არ ვილაპარაკო, ნებისმიერ ზუგდიდელს ჰკითხეთ და ისინი გიპასუხებენ.

ფაქტობრივად, ბულიების ბანდა დამიპირისპირდა, რომელთაც, სავარაუდოდ, მფარველები ჰყავთ ხელისუფლებაში. „ავტოსტარ+“ კი დაუბრკოლებლად აკეთებს ყველაფერს, რაც უნდა და როგორც უნდა. ფასებსაც თვითონ არეგულირებენ. მაგალითად, ზუგდიდი-თბილისის რეისზე მგზავრობის ფასი 15 ლარი იყო, ახლა 20 ლარია.

**— ფასები ყველაფერმა მოიმატა, ბატონო ირაკლი, თქვენც ასე მოიქცეოდით, სავარაუდოდ.**

— გასაგებია, ფასებმა მოიმატა, მაგრამ მე ყველაფერი დაანგარიშებული მაქვს. ჩემთან უმაღლესი ფასი იქნება, მაქსიმუმ, 17 ლარი. შეიძლება ამის გაკეთება, მაგრამ ბევრი მოთხოვნილება აქვს „ავტოსტარ+ ხელმძღვანელობას და ძნელია მათი გაძღომა და დანაყრება.

**— გასაგებია, მაგრამ „ავტოსტარ+“ მხოლოდ თავისთვის ხომ არ მუშაობს? გადასახადები, ცხადია, ხარჯია ნებისმიერი კერძო დაწესებულებისთვის.**

— რამდენადაც ვიცი, შპს „ავტოსტარ+“ არავითარი თანხა არ შეაქვს ბიუჯეტში.

როგორც გითხარით, „ავტოტრანსი“ არსებობიდან მე-6 თვეს დღგ-ს გადამხდელი გავხადე მაშინ, როცა შპს „მეტრო“ მუშაობდა და მგზავრთა უმეტესობას ამ კომპანიის მანქანები ემსახურებოდნენ. ახლა შპს „მეტრო“ აღარ ფუნქციონირებს. „ავტოსტარ+“ კი თებერვლიდან მუშაობს, სად არის დღგ? ამ პირობებში 3–4 თვეში ეს შპს დღგ-ს გადამხდელი აუცილებლად უნდა გამხდარიყო, რადგან მუშაობაში ხელს არავინ და არაფერი არ უშლიდათ. მაგალითად, მესტიის მიმართულებით დღეში 8–10 გავსებული მარშუტკა მიდის და რამდენადაც ვიცი, საერთოდ არ ფორმდება ეს მარშრუტი.

ყველაზე გულსატკენი და უხერხული ამ ამბავში კიდევ ის არის, რომ ჩემი საქმიანობის გამნადგურებელი ოჯახის ყოფილი წევრი, ჩემი ყოფილი სიძე და ჩემი ყოფილი სიძის მამა გახლავთ.

ჩემი ყოფილი სიძე თემურ ბულია უმუშევარი იყო და როგორც კი საქმე ავაწყვე, მაშინვე მოვიყვანე ჩემთან, ორი წლის განმავლობაში ჩემს შპს-ში იმუშავა, ვასწავლე საქმე, გავაცანი მძღოლები. მანამდე ჩემი სიძე უმუშევარი იყო. ის ზუგდიდელია და ორი წლის განმავლობაში თბილისში, ჩემს სახლში ცხოვრობდა, ჩამოვიყვანე თბილისიდან, ერთად ავამუშავეთ ორგანიზაცია, ზუგდიდში სახლი გავურემონტე, გვერდით ვედექი, როგორც მშობელი მამა და ბოლოს რა გამიკეთა — ოჯახი ხომ დაანგრია, ბიზნესიც წამართვა და მისი საკუთარი შვილებიც, ასე ვთქვათ, შიმშილისთვის გაიმეტა. ამიტომ ვერ ვლაპარაკობ თამამად კიდევ ყველაფერს და თქვენ რომ არ დაგეძალებინათ, არც მინდოდა ამ თემაზე საუბარი. სამწუხაროდ, ფაქტი ისაა, რომ ოჯახის ახლა უკვე ყოფილმა წევრმა წამართვა სამუშაო, დამინგრია ჩემი შრომით შექმნილი შპს, აწყობილი საქმიანობა და დღეს არავინ კითხულობს, კანონის დაცვით მუშაობს და ლეგალურ საქმიანობას ეწევა თუ არა ეს ორგანიზაცია...

**— ოფიციალურად განცხადება შეტანილი გაქვთ შპს „ავტოსტარ+“-ის წინააღმდეგ?**

— ჩემგან მძღოლები რომ გადაიყვანეს და ორგანიზაცია გამინადგურეს, მაშინ აღიძრა საქმე ამ საკითხზე, სამხარეო პოლიციის უფროსიც მხარს მიჭერდა — მთხოვეს დოკუმენტაცია, იმის დასამტკიცებლად, რომ „ავტოსტარ+“ უკანონოდ მოქმედებდა ზუგდიდის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ საქმის მსვლელობის პროცესში ნელ-ნელა გამოიკვეთა, რომ, საბოლოოდ, სიმართლის დადგენას ყველა ერიდებოდა. სამხარეო პოლიციის უფროსმა თქვა: გავარკვიე, ეს არ ყოფილა კანონიერი დავის საგანი, ეს პირადული საქმეაო. როგორაა ეს ჩემი პირადი საქმე, როცა გამინადგურეს ბიზნესსაქმიანობა? კონკურენცია არისო. კი, ბატონო, იყოს კონკურენცია, მაგრამ შეამოწმა ვინმემ, როგორ მუშაობს „ავტოსტარ+“, შეადარეს ჩემი შპს-ს საქმიანობას? ჩაერთო სიტუაციაში შემოსავლების სამსახური, მერიის ზედამხედველობა, სამართალდამცავი სტრუქტურები? უკანონობა და განუკითხაობაა ეს.

თემურ ბულიას ყოფილი მე-





უღლე, შპს „ავტოტრანსის“ ბუღალტერი, **მირანდა როგავა**: თემურ ბულია სამსახურიდან გაათავისუფლების შემდეგ განსაკუთრებით აგრესიული გახდა. ხშირად ჩხუბობდა. მოვარდა კიდევაც სამსახურში იარაღით, იმუქრებოდა: დაგხოცავთ, დაგაინვალიდებთ, მამაშენს, ირაკლი როგავას დავასახიჩრებ, ფეხებით დავკიდებო და ა.შ.

მას, ცხადია, ფინანსური ინტერესი უფრო ამოძრავებდა და ამწარებდა, რადგან სამსახურიდან გათავისუფლებული სერიოზულ შემოსავალს კარგავდა. ორ-სამჯერ მომიწია პატრულის გამოძახება სადგურის ტერიტორიაზე, თემურ ბულიას აგრესიისგან დასაცავად. მოვარდებოდა ხოლმე და გიჟივით პირდაპირ ჩემსკენ იწევდა. ხალხი რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, იქ რა მოხდებოდა.

მუქარების და იარაღით მოვარდნების გამო საქმეც აღიძრა. ჩხრეკაც ჩატარდა, მაგრამ თითქოს ვერაფერი აღმოაჩინეს. მას ჰყავს მეგობრები საპატრულო პოლიციაში და როგორც ჩანს, სანამ ჩხრეკას აწარმოებდნენ, დაურეკეს და გააფრთხილეს... „ნაცმოძრაობის“ დროს თემურ ბულია პოლიციის თანამშრომელი იყო და როგორც ჩანს, ძველი კავშირები დღემდე შენარჩუნებული აქვს.

ხელისუფლებას ვთხოვთ დაგვეხმაროს — მთელი ოჯახი შიშში და ტერორში ვართ. არ ვიცით, რა მოვიმოქმედოთ.

ვიცი, რომ მძღოლებს უკან, ჩვენს შპს-ში დაბრუნება უნდათ, მაგრამ რატომღაც იძულებული არიან „ავტოსტარ+-ში დარჩნენ, ან ვიღაც აიძულებთ, ასე მოიქცნენ“.

*კანონი და სამართალი, ზოგადად, ურმით დადისო, როგორც ამბობენ, მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ ოდესმე სამართალი მაინც აკაკუნებს ყველას კარზე. ირაკლი როგავას ოჯახი კი, თუკი სამართალს ვერ მიაღწია და საკუთარი ხარჯებით და შრომით შექმნილი ახლა უკვე განადგურების პირას მისული შპს ისევ არ აამოქმედა, უმძიმესი პრობლემების წინაშე დგება..*

*ამ ორგანიზაციის ხელახალი ამუშავება, როგორც ვხედავთ, არც ისე მარტივია. ერთმა მოძალადე ჯგუფმა პატიოსან მოქალაქეს საარსებო წყარო წაართვა და როგორც ზუგდიდელები ამბობენ, ყოველ საღამოს შემოსავლის გაყოფისას „ავტოსტარ+“-ის ოფისიდან ღრიალი და გამიშვი-დამიჭირეს ხმები ისმის. იმასაც ამბობენ, ირაკლი როგავას ყოფილი სიძე თემურ ბულია, რომელიც მეზობელ თურქეთში ყაჩაღობის მუხლით არის თურმე ძებნილი, დღისით, მზისით, ნასვამი და ქამარში ნაგანგარჭობილი, ავტომობილით დაქრის ზუგდიდის ქუჩებში და ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადო. ყოველივე ეს კი, დიდი ალბათობით, მოსალოდნელი კრიმინალური ქმედების წინაპირობაა.*

*ღმერთმა არ ჰქნას, მაგრამ ტრაგედია რომ მოხდეს, მერე შეშფოთებას და ტრაგედიაზე ცრემლის ღვრას აზრი აღარ ექნება.*

*ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალაქის ქუჩებში მოქალაქეებს იარაღით რომ აშინებენ, ეს ნორმალურია? სამხარეო პოლიციის წარმომადგენლებს მინდა ვკითხო: ეს კრიმინალი არ არის? ეს მხოლოდ როგავების ოჯახის პირადული ამბავია?*

*სამეგრელოში და კერძოდ, ზუგდიდში, ნაციონალებს რომ აქვთ ფრთები გაშლილი, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავი გახლავთ. როგორც შევიტყვე, უბრალო ხალხს კბილებით გააქვს იქ თავი და სამართალი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პირდაპირ ნაცების ალყაში არიან. ამ დროს ერთი პატარა შპს-ს დამფუძნებელმა რა ჰქნას?*

*ბატონი ირაკლი როგავა არ არის ერთადერთი, ვინც დაგვიდასტურა ნაციონალების თავხედური აღვირახსნილობის შესახებ სამეგრელოს რეგიონში. უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ სამეგრელო არაა ამ კუთხით გამონაკლისი. ახალმა პრემიერმა კი ბრძანა: დავასრულებთ ამათ ბოგინს მალე, არჩევნების გზით, მაგრამ სანამ არჩევნებამდე მივალთ, ხომ არ უნდა დაიხოცოს ხალხი, უგულისყურობას და დაწყევლილ კოჰაბიტაციას ხომ არ უნდა შეეწიროს მოსახლეობა?!... მართლა ქვეყანაა თუ განგსტერული უბანი, სადაც სამართალს ტყვია წყვეტს?*

*საკითხი, როგორც დავინახეთ, არცთუ ისე მარტივია, საქმე ეხება, არა მხოლოდ კერძო შპს-ს მესვეურებს, არამედ ცალკეული თანამდებობის პირებს, რომლებთანაც ამ საკითხზე ინტერვიუების ჩაწერას მომავალში ვაპირებთ. მანამდე კი ყველა იმ პირს ვინც ამ წერილშია ნახსენები და ყველას, ვინც რაიმე სახის ინფორმაციას ფლობს ამ თემაზე, ვთხოვთ გამოგვეხმაურონ. მათ მოსაზრებას უცვლელად გამოვაქვეყნებთ.*

*დაბოლოს, ვსარგებლობთ შემთხვევით და თხოვნით მივმართავთ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს, ქალაქ ზუგდიდის მერს,, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობას, დაუყოვნებლივ დაიწყეთ ირაკლი როგავას საქმის შესწავლა, დაიცავით ეს ადამიანი და მისი ოჯახი მოძალადეებისგან.*

*არ შეიძლება მოქალაქეებს ისეთი შეგრძნება ჰქონდეთ, თითქოს ეს ქვეყანა ჩალით არის დახურული, სადაც სამართლის პოვნა შეუძლებელია.*

*რედაქცია აუცილებლად თვალს მიადევნებს ამ წერილში წამოჭრილი პრობლემების მოგვარების პროცესებს.*

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

ავტოტრანსი
AVTOTRANSI

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *



— **ჩვენი ადვოკატის მიერ დაწერილი საკასაციო საჩივარი არ მიიღო განსახილველად უზენაესმა სასამართლომ. რამდენად სამართლიანია ეს? ზოგადად, ასევე, მაინტერესებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.**

– თუ საკასაციო საჩივარში დასაშვებობის პირობები არ არის ჩამოყალიბებული, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია.

უფრო მეტი სიზუსტისთვის მოგაწოდებთ შესაბამის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს, რომლებიც სრულყოფილად და ამომწურავად უპასუხებენ თქვენთვის საინტერესო საკითხს.

მუხლი 303. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

1. თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით კასატორს აძლევს 5 დღის ვადას, რომელიც საჭიროა საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ კასატორი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. (ამოღებულია – 08.02.2017, N 260).

3. საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

31. საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, იგი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

32. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა.

33. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. ეს განჩინება უნდა შეიცავდეს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში წერილობით ატყობინებს მხარეებს, ხოლო თუ დაუშვებლად ცნობილია პროკურორის საკასაციო საჩივარი — აგრეთვე ზემდგომ პროკურორს.

5. თუ საკასაციო სასამართლო განჩინებით საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, იგი ნიშნავს საკასაციო სხდომის თარიღს. საკასაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.

6. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

7. კასატორს უფლება აქვს, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

8. საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

# ჩვენი პლანეტა ახალ განზომილებაში გადავიდა?

ბიოფიზიკოსების განცხადებით ჩვენმა პლანეტამ სხვა განზომილებაში გადაინაცვლა. 2003 წელს დაიწყო ექსპერიმენტი, რომელიც ათი წელი – 2013 წლამდე გაგრძელდა. ბირთვული ფიზიკის მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ წყალბადის ატომთან, პროტონთან და ბოლოს, მათ დააფიქსირეს წარმოუდგენელი რამ, პროტონი მცირდებოდა და შემდეგ კვლავ ჩვეულებრივი ზომას უბრუნდებოდა, მისი ნაწილაკი კი პულსირებული გახლდათ. თავდაპირველად, მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ შედეგი არასწორი გამოთვლით დადგა და პროტონი იცვლება გარედან კომპონენტების გავლენის ქვეშ. თუმცა, კვლევის შედეგმა ყველაზე ცნობილი სკეპტიკოსებიც კი აიძულა ეღიარებინათ: პროტონი ახალ მნიშვნელობას იძენდა. გაირკვა, რომ პროტონის ნაწილაკი 4% -ით შემცირდა. კვანტური გადასვლის შემდეგ სამყაროში, ყველაფერი შეიცვალა – მისი სიჩქარე, როტაცია, მიმართულება, დიამეტრი. ერთი შეხედვით თითქოს რა მოხდა, პროტონი შეიცვალა, სისულელეა! მაგრამ, შემდეგ ყველა ორგანული ნივთიერება შეიცვალა რადგან იგი წყალბადისგან შედგება. შესაბამისად მატერიის სიმკვრივეც შეიცვალა. (ლევაშოვი წერდა მატერიის თვისებების შესახებ, რომ ჩვენ სხვა სივრცეში გადავინაცვლებთ, სადაც უფრო მეტი სინათლე იქნება). პროტონს მიყვნენ სხვა ნაწილაკებიც და ის რაც ბირთვულ ფიზიკაში ურყევად ითვლებოდა, გაჩნდა სრულიად განსხვავებული ფორმით, უცხოში. თითქოს ჩვენც უცხოპლანეტელები ვართ და სხვა პლანეტაზე მოვხვდით. ფიზიკის კანონებმა, რომლებიც 2013 წლამდე შეიქმნა მოულოდნელად შეაჩერა მოქმედება, რადგან მატერიის სიმკვრივე შეიცვალა. აღნიშნულ საკითხს მთელი მსოფლიოს მეცნიერები იკვლევდნენ. ცდებიც მრავალ ლაბორატორიაში ჩატარდა და შედეგმაც ყველა გააოცა. მსოფლიოში დაახლოებით ათმა წამყვანმა ატომური ფიზიკის ინსტიტუტმა, რეაქტორებმა და ლაზერულმა ტექნოლოგიამ შეამოწმეს ერთმანეთის შედეგი და ყველა ინსტიტუტმა წყალბადის ატომის ერთი, ახალი ზომა აღიარა. თუ ვიმსჯელებთ სამგანზომილებიანი სამყაროს კანონებით, შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფიზიკამ დაიწყო სხვა განზომილებების გამოვლენა. რაც დასტურდება ასტროფიზიკოსების მიერ ჩვენი სივრცის მრავალგანზომილებიანი გამოთვლებით. დიახ, ჩვენ ვცხოვრობთ სხვა განზომილებაში!



ჩვეულებრივი ელექტრომაგნიტური „შკალა“, რომელიც წარმოდგენილია ფიზიკის სახელმძღვანელოებში, საცნობარო წიგნებში, გაიზარდა ინფრაწითელ დიაპაზონში სამი ოქტავიით და ულტრაიისფერში სამი ოქტავივით. ჩვენ ექვსი ოქტავით ავმაღლდით. 2013 წლამდე მეცნიერები შეშფოთებულები იყვნენ, რომ ჩვენი მზის სისტემა შავ ხვრელის მიმართულებით მოძრაობდა. ნოვოსიბირსკის მეცნიერებიც ადასტურებდნენ, რომ ჩვენ გადავდიოდით სრულიად აუხსნელი ენერგიების რეგიონში, რომელიც აქამდე არ არსებობდა და გაურკვეველი იყო, რა მოხდებოდა შემდეგ. ახლა კი აღმოჩნდა, რომ შავი ხვრელი აღარ არის! ასტროფიზიკური ობიექტი უკვალოდ გაქრა. (აღნიშნული აღმოჩენა, გამოქვეყნდა ელექტრონულ ჟურნალში „მემბრანა“ სადაც მეცნიერებმა გამოაქვეყნეს თავიანთი დასკვნები, ორი თვის შემდეგ კი ჟურნალი, შავი ხვრელივით გაქრა.)

რა მოხდა? აღმოჩნდა, რომ შავი ხვრელი არის ის კარი, რომელიც ჩვენ გავიარეთ, და კარი დაიკეტა. მაგრამ, შავი ხვრელის ნაცვლად, კიდევ ერთი ობიექტი გამოჩნდა, ესეც სამეცნიერო აღმოჩენაა, უკვე 2014 წელს – მაგნიტარი.



მათ რადიოდიაპაზონით მაგნატარის პულსაცია მოისმინეს 2014 წლის მარტში ხოლო მაისში კი დაინახეს. კოსმიური სტანდარტებით ეს კოლოსალური დროა. რომელსაც ან ისმენენ ან ხედავენ, ანუ ტვინი მზადაა ამ ინფორმაციის აღსაქმელად. ასე რომ, მეცნიერებმა ფაქიზი სამყაროს პირველ სართულზე შეაღწიეს, ანუ „სხვა სამყაროში“, რომლის კარებიც ყველასთვის გაიხსნა. ჯერ კიდევ ათეული წლების წინ მეცნიერებმა და ნეიროფიზიოლოგებმა აღმოაჩინეს ორგანო, ჰიპოკამპი რომელსაც ცისფერი ან ლურჯი ლაქაც ჰქვია. მაგრამ ამ ორგანოს დიდი ყურადღებას არ აქცევდნენ. მკვლევარების თქმით 2014 წელს მაგნიტარი ლურჯ ფერში განათდა და ადამიანებსაც ჰიპოკამპი ანუ ლურჯი ლაქა გაუნათდათ.

ჩვენ ვცხოვრობთ და არ ვიცით, რომ ჩვენ ვხვდებით სრულიად განსხვავებულ ენერგეტიკულ სპექტრს. ეს ყველაფერი კი ადამიანის ცნობიერებაში ბრუნდება. ეს არის წინა რეალობიდან გამოსვლა და უწინდელი ენერგიის ამაღლება. როდესაც ადამიანი განიცდის ახალი ენერგიის ზეგავლენას, იგი იძენს ახალ ცოდნას. ყველა ჩვენთაგანი, დედამიწაზე განსახიერებული არსებები, ვალდებულნი ვართ ვემსახუროთ შემოქმედის გეგმის აღსრულებას, მაგრამ რასთან გვაქვს საქმე სინამდვილეში? ზოგიერთი ჩვენთაგანი ამბობს: „მე ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ და ჯერ ვერ მოვასწარი რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება შემოქმედის გეგმის აღსრულებისთვის“. სხვები ამბობენ: „მე უკვე ძალიან ხნიერი ვარ, იმისთვის, რომ რაიმე მნიშვნელოვანი გავაკეთო.“ ისინი, ვინც შუალედურ მდგომარეობაში იმყოფებიან, იტყვიან: „მე, მეტისმეტად დაკავებული ვარ, იმისთვის, რომ ახლა ვაკეთო რაიმე სერიოზული ამ მიმართულებით.“ ყველა, ვინც ასეთნაირად მსჯელობს, დარჩება ნახევარგზაზე იმ მიზნისა, რისთვისაც აქ მოვიდა და ვერ მიუახლოვდება მას. სინამდვილეში ასაკი არ თამაშობს განსაკუთრებულ როლს განხილულ პროცესში. იგი მხოლოდ ჩვენი ბიოლოგიური მდგომარეობის ამსახველია. არ არსებობს არაფერი, რასაც შეუძლია შეგვიშალოს ხელი, რათა გარდავქმნათ ეს პლანეტა. მთავარი კი ისაა, რომ ჩვენი ჩანაფიქრის შინაარსი და სიწმინდე, ჩვენი მისწრაფება იმისკენ, რათა დავამყაროთ სულიერი კავშირი გარემოსთან – მათი ენერგია, შეაღწევს დედამიწაში და შეცვლის პლანეტის ვიბრაციის სიხშირეს. ყველა ადამიანს შეუძლია ამაღლდეს, თუ წინასწარ მოემზადება ამისთვის. პირველ რიგში საჭიროა, რომ მან მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: დარჩეს ძველ ენერგიებში თუ ამიერიდან გააგრძელოს სვლა დედამიწასთან ერთად ამაღლების გზით. ჩვენს დნმ-ში მეტია ღვთიური, ვიდრე არაღვთიური, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცით. ჩვენში მეტია ანგელოზური, ვიდრე ადამიანური, მაგრამ დუალობა ამას მალავს ჩვენგან. ჩვენ მოვდივართ ამ მიწიურ ცხოვრებაში და მივდივართ აქედან. ბევრი მწუხარების და ბევრი ტკივილის ატანა გვიხდება აქ ყოფნისას. „ეს უაზრობაა“ – ამბობს ხშირად ადამიანი. „თუ ჩვენ ანგელოზური არსებები ვართ, მაშინ რატომ ვართ აქ? რას ვაკეთებთ ჩვენ აქ? რისთვისაა ეს ყველაფერი?“ არ არის ადვილი ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. ჩვენ მარადიულნი ვართ და ინტუიციის დონეზე ეს ვიცით. ძირითადად ეს ყველაფერი დაკავშირებულია სამყაროს ევოლუციასთან. ჩვენ ვიცით ვინ ვართ სინამდვილეში. საჭიროა ღრმად ჩავიხედოთ ჩვენში და შევეცადოთ ვიპოვოთ პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რომელიც ჩვენს წინაშე წარმოიშვება. ყველა, ვინც დაიბადა დედამიწაზე 1987 წლამდე, დაიბადა ძველ ენერგიაში, მაგრამ იმ გადაწყვეტილებით, რომ უნდა შეცვალოს იგი. იმისათვის, რომ დედამიწასთან ერთად განვაგრძოთ სვლა ამაღლებისაკენ, საჭიროა გულის ჩაკრის გახსნა, თუ იგი ჯერ ღია არ არის. შემდეგი ნაბიჯია კარმული ვალების დაწვა. ეს შესაძლებელია, თუ დახმარების თხოვნით მივმართავთ უმაღლესი ძალების წარმომადგენლებს. ამის გარეშე ამაღლება შეუძლებელია. ძნელია იმ ვიბრაციული ზღურბლის გადალახვა, რომელიც დედამიწამ უნდა გადალახოს. ამაღლების გარკვეულ ეტაპზე ჩვენი დნმ-ის ვიბრაციები დაიწყებენ სწრაფად ზრდას. ამასთან ერთად სხეულის ტემპერატურა დაიწევს. შემდეგ პროცესი შეჩერდება. თავს იჩენს სხეულის წონის სისუმბუქე და მის ირგვლივ არსებული ენერგიის შეგრძნება. შესაძლებელი გახდება ამ ენერგიების ფერადი სპექტრების ხილვა და ტელეპატიური ურთიერთობა. დაიწყება ოქროს ხანის სუპერცივილიზაციის მშენებლობა. გაჩნდება ადამიანებში საკუთარი სულის განვითარების და სხეულში ყოფნისას ღვთიური ჰარმონიის შეძენის ჯერ არნახული შესაძლებლობები. ამავდროულად წარმოიშობა და განვითარდება დედამიწის გასუფთავების (იმ ყველაფრისგან, რასაც მოჰყვება ძველი ენერგიების დაბალი ვიბრაციები) პროცესები. როგორც ცნობილია, დაბალ ვიბრაციებს თანსდევს ბრაზი, წყენა, შური, სიძულვილი, შიში და სხვა ნეგატიური ემოციები. ასეთ ადამიანებს ჰქონდათ მილიონი შესაძლებლობა იმისა, რომ გამოესწორებინათ საკუთარი ცხოვრების ეს სიტუაცია. მაგრამ ისინი განაგრძობენ არსებობას სამყაროსთან ურთიერთობის მათთვის ჩვეული და ხელსაყრელი წესით. მათ შემოაქვთ დისჰარმონია და ნგრევა არა მხოლოდ საკუთარ სამყაროში, არამედ გარშემომყობთა ცხოვრებაშიც.

თაობა ბავშვებისა, რომლებიც შეცვლიან დედამიწის სახეს, ნელ – ნელა შედის ასაკში. ინდიგოს ბავშვები ახალი ცნობიერების ბავშვები არიან. 2012 წელს ისინი უკვე უმრავლესობას შეადგენენ. ისინი აქ იმყოფებიან იმისათვის, რომ დედამიწაზე მშვიდობა დაამყარონ. ამაღლების პროცესში თვითოეულს გააჩნია თავისი გზა და არ არსებობს წიგნი, ინსტრუქცია, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველასთვის. ეს ხორციელდება სუფთა მისწრაფებით, და ეს ყველას შეუძლია. ყოველი ადამიანის ამაღლება, უბრალოდ მისი სულიერი ძიებაც კი, გამოიმუშავებს ენერგიას, რომელიც ეხმარება დედამიწას. ეს ნებაყოფლობითი ნაბიჯია. არაფერია იმაზე სუფთა, როგორიცაა სულიერი მისწრაფება. იგი არის სუფთა ხარისხის სულიერება. სუფთა განზრახვა – ეს არის ყველაფერი, რაც კეთდება არა სასოწარკვეთილებაში ყოფნის გამო, ან როდესაც ძალები ილევა, არამედ იმიტომ, რომ ადამიანი დარწმუნებულია, რომ მას მაღალი მიზანი გააჩნია. იგი აღებს კარს, ოღონდ უკეთუ გააღე ეს კარი, არასოდეს არ შეიძლება მისი დახურვა.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

## ვანო ჩხიკვაძე

# ლექსები

* * *

ჩვენი წუთისოფელი
უფრო დაამოკლეს, —
სიხარული ჩაქოლეს,
სიყვარული მოკლეს.

შემოგვაფცქვნეს ქვეყანა
გუდამშიერ ობლებს,
უკვე ველარ არჩევენ
რუსთაველს და პროკლეს.

ალგეთელო ძუ მგელო,
ვიღას უზრდი ბოკვრებს —
საქართველო წაშალეს,
საქართველო მოკლეს!

* * *

გარბის თოვლში კარეტა,
აწყვეტილი გარბის,
უწყინარი სიბერე
ნემსითა და ძაფით.

გაბზარული სათვალით,
უძილობის აბით,
წლებმა თან გაიყოლეს
შარიშური კაბის.

წამით შემოფეთებულ
გზააბნეულ ირემს —
სიზმრებში გაუღიმებ
ჩავლილ სიყმაწვილეს.

როგორც გუშინ, გუშინწინ,
სევდიანი, დღესაც,
სიხარულის ძველმანებს
მუხლმორთხმული კემსავ.

გაქრა ნაზი სურნელი
დაფურცლული ვარდის,
გარბის თეთრი კარეტა,
ნეტავ, საით გარბის.




* * *

საბან-გობანი ეკლის გვირგვინია,
მაინც უდაბნოს გზებზე მარხულო,
ერთ სასთუმალზე, ვერ გამიგია,
სხვადასხვა სიზმრებს რატომ ვნახულობთ.

როცა მეგონა, გამიამინდა,
უცებ ხელიდან რატომ გამეშვი,
მოსულს წარსულის გრძელი ღამიდან,
მიგვიძლებიან ისევ ღამეში.

იფხიზლე-მეთქი,
მალე მუქარის
გრიგალით კედლებს მოაწყდებიან.
ვის შერგებია ეს საჩუქარი —
ყალყზე შემდგარი ტროას ცხენია.

გაგინაწილეს, სამოსელივით
დაგღრღნეს, დაგკუწეს და გაგაჩუქეს,
იფხიზლე-მეთქი,
ვეღარ გაახელ,
თვალი თუ ერთხელ კიდევ დახუჭე.

* * *

რა მოხდა, ბატონო, რად გიკვირთ, ბატონო,
წიგნს ვყიდი, თქვენსავით, სამშობლოს ხომ არა.
კი გვახსოვს...
მიწაზე მანეჟის ხუმარა,
ვერტმფრენის ჩრდილმა რომ ზედ გადაუარა.

საყელო მოუშვა —
უმია ელენთა —
ურჩიეს, უსიზმრეს, მაინც არ მოეშვა.
ვიღაცას ჰგონია, სისხლიან ეშვებით,
ვითომდაც ეშლება...
ჩაგვიშვა...
ვეშვებით...

სამშობლოს „ქვა-ღორღებს“
ვინც ბევრჯერ დასცინა —
რა ქნას, სიძულვილზე არასდროს აცრილა —
გასაოცარია, გვეგონა კაცი და,
მარაო აციებს ამხელა ბაცილას.

დრო არის, დაკრიჭოს ძვირფასი კბილები,
ჯერ მოუვლენელმა ჩვილებმაც იციან,
რა მნიშვნელობა აქვს...
ხორცისთვის გიჟდება —
კბილებში რომ მალავს ჰალსტუხის ჩიჩიას...

რად გიკვირთ, ბატონო, უძირო ტომარავ,
წიგნს ვყიდი, თქვენსავით, სამშობლოს ხომ არა?!

* * *

შენც აუკარი ხელი უებარ
ღვთისგან ბოძებულ ჩინს და სინათლეს,
თვალი, რომელიც არ გატყუებდა,
სწორედ ის თვალი გამოითხარე.

და ველოდებით შეწირულ მართალს,
ამბორი მაინც რომ აგარიდონ,
იუდას ვერცხლი სულ უნდა, მაგრამ
ჯერ არ ჩანს ის, ვინც უნდა გაყიდოს.

შემოგყივიან, რომ მოფრიალე
შენი სხეულის დროშაც დაგლიჯონ,
ხომ გაქვს წყალობა —
ფრთხილად იარე,
საკუთარ ჩრდილს რომ არ დააბიჯო.



## ბანდა

მთავარია, იყოს პანტა,
მოვა მედროვეთა ბანდა.

იყო ბანდა, მგლებს რომ ჰგავდა,
ჩვენს ჭრილობებს სისხლით ჰბანდა...

ოცდაათიანის ბანდა,
ორიათას რვა წლის ბანდა —
ისე მგრძნობიარე გახლდათ,
თურმე დედას უჯდა თავთან,
სისხლის გემო რომ გაიგო,
მერე სახრჩობელებს დგამდა.

ბანდა ჰყავდა, გრიგალს ჰგავდა,
თან სძულდა და თან უყვარდა.

— ეჰ, უიღბლო ქალბატონო,
რომ ველოდით უკეთესებს,
თქვენი საშოს წიაღიდან,
ეს რა ღვარძლი ამოთესეთ.

ბებია ქალს შეატოვა,
ხელში გალეული ლოკვით,
ჭიპლარი რომ გაენასკვა,
როგორც სახრჩობელას თოკი.

უკვე რაღა „მნიშვნელი“ აქვს,
სისხლს იბანდა, არ იბანდა
აქამდე რომ ებოგინა,
ნეტავ, კიდევ რას იზამდა...

არაფერი არ დამთავრდა,
თან ნუ გაიყოლებ დარდად,
გიხაროდეს!
მომავალი
ბანდაც უკვე დაიბადა!

აღარ მინდა დავინახო,
წარსულს გავაფარე ფარდა —
ილიას და გორგასალის,
საქართველოს მკვლელი ბანდა!

ყველამ ერთად დამავიწყა —
რა მძულდა და რა მიყვარდა,
ერთი მეგობარიღა მყავს,
ტყეში მობაჯბაჯე პანდა.

დაიწყება არჩევნები,
დამთავრდება არჩევნებთან,
დიდხანს არ შეგვაყოვნებენ
ყოფილ ბანდის ნარჩენებთან.

— ნეტავ, კიდევ შორი არის?
— რატომ იცი, აჩემება!
— რა ვიცოდი, ამ სადგურზე,
ძველი ბანდა აჩერებდა!

მოდის თეთრი ხელთათმანით,
შენც ხომ დაინახე ლანდად...
მალე დამწიფდება პანტა,
მალე დამწიფდება პანტა!

# რას ფიქრობენ თბილისელები „ტაქსების რეფორმაზე“

პირველი ოქტომბრიდან ძალაში შევიდა რეგულაცია, რომლის თანახმად, თბილისში მოძრავი ტაქსი აუცილებლად თეთრი ფერის უნდა იყოს. ფერადი ავტომანქანების მფლობელებს კი „ტაქსაობა“ მხოლოდ გამოძახების შემთხვევაში შეეძლებათ. ახალი რეგულაციებით იკრძალება მარჯვენასაჭიანი და სამკარიანი ავტომობილების ტაქსად გამოყენებაც.

რეგულაციების ამუშავების პირველივე დღეს თბილისში 700-ზე მეტი ტაქსი დააჯარიმეს, თუმცა მალევე უმრავლესობის წევრმა მამუკა მდინარაძემ განმარტა, რომ დაჯარიმება გარკვეული ჯგუფების მიერ მძღოლების შეცდომაში შეყვანამ გამოიწვია და ჯარიმების გასაუქმებლად, პარლამენტი ერთჯერად საკანონმდებლო აქტს გამოსცემს.




ახალი რეგულაციების ამოქმედების მეორე დღიდან მოქალაქეები ტაქსების რაოდენობის შემცირებასა და საფასურის გაზრდაზე ალაპარაკდნენ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფერადი ტაქსის მძღოლებმა ჯარიმის თავიდან ასაცილებლად, გარკვეული ხრიკი შეიმუშავეს – ისინი ქუჩაში მდგარ პოტენციურ მგზავრებთან მოძრაობას ანელებენ და მომსახურეობას ასე სთავაზობენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ გზით ნებისმიერი ავტომობილის მძღოლს შეუძლია ქუჩაში მგზავრის აყვანა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა საფრთხეებთან არის ეს ყოველივე დაკავშირებული.

„ლიცენზიით, რომელიც თბილისის მერიას აქვს დაწესებული, უკეთესი ტაქსი არ მიიღება, მიიღება უფრო ძვირი ტაქსი, თეთრი ფერით“, – ამის შესახებ „საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარემ დავით მესხიშვილმა 3 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ამ რეგულაციებით ვიღებ იმას, რომ კრიზისია შექმნილი მგზავრთა გადაყვანაში და ჩვენ ვეუბნებოდით თბილისის მერიას, რომ ტაქსების რეფორმამ არ უნდა დაასწროს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას. მოხდა ისე, რომ ერთ დროს იაფიანი ტაქსი გახდა ძვირი, შესაბამისად, მგზავრთა ნაკადი გაიზარდა ავტობუსების და მეტროს მიმართულებით და ეს ორი უკვე მზად არაა გაზრდილი მგზავრთნაკადის მისაღებად“ – განაცხადა მესხიშვილმა.

თავად ტაქსის მძღოლები მომსახურეობის გაძვირებას ხარჯებს უკავშირებენ, რომლებიც საგადასახადო რეგულაციებმა დააკისრათ.

ზოგმა მძღოლმა ავტომობილის გადაღებვას არჩია, რომ საკუთარი ავტომობილი გაეყიდა და თეთრი ეყიდა, ამისთვის კი ბანკიდან კრედიტის აღებაც მოუხდა. არიან ახალი რეგულაციებით კმაყოფილი მძღოლებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ რეგიონებიდან თბილისში სატაქსაოდ ჩამოსული მძღოლები სახლებს დაუბრუნდებიან, კერძო ტაქსების რიცხვი მკვეთრად შემცირდება და ბაზარზე დარჩენილები ორმაგ შემოსავალს მიიღებენ.

მძღოლების მსგავსად, „ტაქსების რეფორმასთან“ დაკავშირებით, მგზავრების აზრიც ორად გაიყო: თბილისელების ნაწილი ცვლილებებით კმაყოფილია და ტაქსის მომსახურეობის გაუმჯობესებას და გზებზე საცობების შემცირებას ელის, ნაწილი კი ყურადღებას ტაქსების სიმცირეზე და მომსახურეობის გაზრდილ ფასებზე ამახვილებს.

„რომ არა შენი უტვინო და ინერტული რეგულაცია, დედაჩემს დროულად მივაკითხავდი და მივხედავდი!“ – ასე გამოეხმაურა თბილისის მერის ინიციატივას საინიციატივო ჯგუფი “დიდი დიღმის მეგობრები”-ს წევრი ჟანა KO სოციალურ ქსელში:

„დღეს მოულოდნელად დედამ დამირეკა – შეუძლოთ ვარ და გთხოვ, გამოდიო. კისრის ტეხით, გიჟივით გავვარდი ქუჩაში, (დედას გულის პრობლემები აქვს).. გამოვვარდი პეტრიწის ქუჩაზე, დავდექი ტაქსის გასაჩერებლად საბურთალოს ქუჩის მიმართულებით. ვერც ერთი შენი ტაქსი ვერ ვნახე დიდ დიღომში! ვიდექი ასე და ცხოვრებაში პირველად ვტიროდი სასოწარკვეთილი! როგორც იქნა, 20 წუთის მერე გამოჩნდა და გამიჩერა თეთრმა ტაქსმა – პასუხი იყო – არა. საბურთალოზე არ მივდივარო. გავატარე. გამიჩერა მეორემ – სხვაგან მივდივარო... ასე ვიდექი დაახლოებით 50 წუთი და პატარა უსუსური ბავშვივით ვტიროდი. ბოლოს ვიღაც ღვთისნიერმა „არალეგალურმა“ გამიჩერა. გზად ეტყობა შემატყო ტელეფონის საუბრით რომ მაგრად ვნერვიულობ მეჩქარება, წინ საცობია და მგზავრობის ფულიც (!) კი არ გადამახდევინა! მიუხედავად ჩემი დაჟინებული თხოვნისა! ეხლა ვსხედვარ დედაჩემის რეანიმაციის წინ და რაც ძალა და ღონე მაქვს – გწყევლი, ბატონო მერო! რომ არა შენი ინერტული რეგულაცია, დედაჩემს დროულად მივაკითხავდი და მივხედავდი!“ – წერს ჟანა KO.

რა უფრო მნიშვნელოვანია ტაქსების ვიზუალური მხარე თუ ტაქსის მძღოლების კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი? ამასთან დაკავშირებით იურისტი ლევან ცალუღელაშვილი სოციალურ ქსელში საინტერესო შემთხვევას იხსენებს და მერიას მოუწოდებს, რომ ადამიანების უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობა შემთხვევით ადამიანებს არ ანდონ.

„რა თეთრი ფერის ტაქსი…




ვინ „ტაქსაობს“ ზოგადად, ის არის გასარკვევი... „კრასკა“ ვერ უშველის კრიმინალს და ქურდ-ბაცაცებს. 2009 წელს ტაქსის მძღოლმა საფულე ამომაცალა და ეს საქმე არ(!) და არა ვერ(!) გამოიძია ისანი-სამგორის პროკურატურამ. ტაქსის მძღოლი იყო ახალი გამოსული ციხიდან, იყო პროფესიონალი „კარმანშიკი“. ჰქონდა კონკრეტული მარშრუტი გადაადგილების, რაც იცოდა პოლიციამ. ტიპი ისევ „კარმანშიკობდა“ და ვერავინ უმტკიცებდა რომ იპარავდა. მოკლედ, ეს საქმე ისევე დააობეს, როგორც არაერთი დაუობებიათ. რა თქმა უნდა, არ გახსნეს და ჩამოწერეს კარგად რომ დაობდა. ჩემი აზრით, „მძიმე“ წარსულის მქონე კრიმინალს არ უნდა ჰქონდეს „ტაქსაობის“ უფლება, სანამ ნასამართლობა არ გაუქარწყლდება, იმ დრომდე მაინც და არც იმას, ვინც ტაქსაობს, გაფორმებულია როგორც სოც. დაუცველი, სახელმწიფოს შემოსავალს უმალავს და ალიმენტის გადახდას ჯიუტად თავს არიდებს. ყველა ტაქსს უნდა ჰქონდეს სალარო აპარატი და ჩეკს უნდა იძლეოდნენ. ასეა მეზობელ ქვეყნებში. აი, მაშინ ვიქნებით სახელმწიფო“ – წერს ლევან ცალუღელაშვილი.

პარლამენტის წევრი გიორგი კანდელაკი მიიჩნევს, რომ ახალმა რეგულაციებმა შეიძლება ქვეყანაში კრიმინალური ფონის გაუარესება გამოიწვიონ, რადგან სამართალდამცავებს დამატებით ვალდებულებებს აკისრებს.

„ათასობით ჩვენი მოქალაქეს, რომელიც მთავრობას არაფერს სთხოვს და საკუთარი შრომით არჩენს ოჯახს, მთავრობა ურთულებს ცხოვრებას, უძვრება ჯიბეში და უბრალოდ აწვალებს. პატრული, რომელიც უნდა იყოს დაკავებული კრიმინალთან ბრძოლით, დასდევს ფერად ტაქსებს და ვინც დადის წითელი და მწვანე ტაქსით, 200 ლარით აჯარიმებს“, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა კანონი ტაქსების ლიცენზირების შესახებ. ერთწლიანი ლიცენზიის ღირებულება ჩვეულებრივი ავტომობილებისთვის 100, ჰიბრიდებისთვის კი – 50 ლარია. ელექტროავტომობილის შემთხვევაში ლიცენზია უფასოა. ულიცენზიოდ გადაადგილების შემთხვევაში, მძღოლს 200 ლარით დააჯარიმებენ. გარდა ამისა, 2019 წლის 1 ოქტომბრიდან მარჯვენასაჭიანი და სამკარიანი ავტომობილებით ტაქსის მომსახურების გაწევა აიკრძალა, დარეგულირდება მანქანის ფერიც – A კატეგორიის ლიცენზიის მქონე მძღოლები ვალდებულები არიან, ტაქსები თეთრად გადაღებონ. ეს მათთვის უფასოა და რეკლამის განთავსების სანაცვლოდ კეთდება. „თეთრ ტაქსებს“ საჩუქრად გადაეცემათ მანათობელი წარწერით “TAXI თბილისი“ – წითელი ფერის განათება იქნება იმ შემთხვევაში, როცა ტაქსი დაკავებულია, ხოლო თეთრი – როცა მანქანა თავისუფალია.

**ნელი თორდია**
571 35 36 88



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001